

D457



საქართველოს ენოკვატიკონსა და ჰიდროტექნიკური ნაგებობ-
გათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

პისივის ბირთვადი ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველ-
ებისა და კრეფინიკების კრეფინიკური ამოცანები

05.03.04 - ჰიდროელექტროსადგურები,
ჰიდროენერგეტიკული და-
ნადგარები, ჰიდროგლიკა და
საინჟინრო ჰიდროლოგია

დავით ცოტნოს გი მირცხუაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი

ტიქნიკურ მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად




შისაძვარი.....

1. პილაროტიქნიკური ნაგებობათა საბეჭდო ნაშრომების შეფასების აბრევიატივი.....
- 1.1. კაპიტალის ტექნიკური მდგომარეობაზე ნაჭურჭლი გა-
მყოფდებების ხანგრძლივების დადგენა
- 1.2. ამოცანის ამოხსნა "გაზომვის" ფიქსაციის თვითა-
ღური სისწორის დანიშვნის შესახებ, ტექნიკოტიქნიკური
ნაგებობათა ნაჭურჭლი გამყოფდებების დროს.....
2. გაზომვის სისტემების რაციონალური განაწილება ბეტონ-
ნის კაპიტალში.....
- 2.1. შეფუძენის რაციონალური განაწილება ბეტონის კაპი-
ტალში
- 2.2. ტენზომეტრული რეგისტრების რაციონალური განლაგება
ბეტონის კაპიტალში.....
3. ბეტონის კაპიტალის მდგომარეობის შეფასება ტექნიკური
დიაგნოსტიკის სტატისტიკური მეთოდებით.....
- 3.1. ამოცანის დასაბამი.....
- 3.2. ამოცანის ამოხსნის ალგორითმი და პრეგრაძია.....
- 3.3. ნაჭურჭლი დაკვირვებების მონაცემების ანალიზის
მეთოდები.....
4. ტენზომეტრული რეგისტრირება ნაგებობებზე.....
- 4.1. პიარის ტენზომეტრია.....
- 4.2. მისი რადიაცია.....
- 4.3. წყლის ტენზომეტრია.....
5. მყარი სხეულის თერმული თვისებები
- 5.1. თბოგადაცემა.....
- 5.2. თბოგადაცემა ფორმის კანონი
- 5.3. თერმული მისასიდათებები
- 5.4. სითბური ნაკადი, ნოთერმული ზედაპირები.....
- 5.5. თბოგამტარობა ანთროპომორული მყარ სხეულებში.....



- 5.6. საწყისის და სასაზღვრო პირობები.....
- 5.7. კონვექციური თბოგადაცემა.....
- 5.8. გამოსხივებით სითბოს გადატანა.....
- 6.1. ნაგებობების თერმული მდგომარეობის თეორიული საფუძვლები.....
- 6.1.1. შესავალი.....
- 6.1.2. ლეფორმაციის ტენზორი.....
- 6.1.3. ძაბვის ტენზორი.....
- 6.1.4. თერმული წარმოშობის ლეფორმაციები.....
- 6.2. ნაგებობების თერმული მდგომარეობის მოდელი.....
- 6.2.1. რიცხვითი მეთოდები ბეტონის კაშხლების თერმული მდგომარეობის ანალიზისათვის.....
- 6.2.2. აპროქსიმაცია რიცხვით მეთოდებში.....
- 6.2.3. რიცხვითი მეთოდები დიფერენციალური მეთოდების ბაზაზე.....
- 6.2.3.1. სასრულ ელემენტების მიხედვით გაანგარიშების მეთოდი.....
- ~~ფორმული მეთოდი მდგომარეობის ანალიზისათვის.....~~
- 6.2.3.1.1. სივრცის დისკრეტიზაცია.....
- 6.2.3.1.2. დროის დისკრეტიზაცია.....
- 6.2.3.2. დრეკადი "ქვივის" ანალიზი.....
- 6.2.3.2.1. საერთო ფორმულდება.....
- 7.1. ნაგებობის თერმული მდგომარეობის რიცხვითი ანალიზი.....
- 7.2. ნაგებობებში სტრუქტურულ ეფექტებზე ტემპერატურის გავლენა.....
- 7.3. ნაგებობებზე პილაროსტატიკის მოქმედებით და ტემპერატურული რეჟიმით გამოწვეული სტრუქტურული ეფექტების შეფასების მოდელი.....
- 8.1. რესკის ღონის შეფასების ზოგიერთი შესაძლებლობის შესახებ, პილაროსტატიკური ნაგებობების პროექტირების დროს.....



- 8.1.1. პროექტირების დროს დაშვებული შეცდომები და მათი აღრიცხვის მეთოდი რისკის გაანგარიშებაში
- 8.1.2. ჰიდროტექნიკურ ნაგებობების და მათი ელემენტების საიმედოობის დონის შეფასების შესამღებელი გზები...
- 8.2.1. ჰიდროტექნიკური ნაგებობის (კაშხლის) ხანგამძლეობის შეფასება ნატანის გავლენის გათვალისწინებით...
- 8.2.2. ტვიშის ჰესის გრავიტაციული კაშხლის ხანგამძლეობის შეფასება
- 9. სტატისტიკური მოდელირების მეთოდის ნაგებობის საიმედოობის შესაფასებლად.....
- 9.1. სტატისტიკურ მოდელირების მეთოდი
- 9.2. სტატისტიკური მოდელირების მეთოდის გამოყენება ნაგებობის საიმედოობის შესაფასებლად.....
- 9.2. ბეტონის გრავიტაციულ კაშხლების მდგრადობის გაანგარიშებები სტატისტიკური მეთოდის საშუალებით.....
- 9.2.1. ბეტონის გრავიტაციულ კაშხლების მდგრადობის გაანგარიშების სტრუქტურა.....
- 9.2.2. სტატისტიკური მოდელირების მეთოდის გამოყენება ბეტონის გრავიტაციულ კაშხლების მდგრადობის შესაფასებლად.....
- 9.3. ბეტონის გრავიტაციული კაშხლების რეკონსტრუქციის საიმედოობის გაანგარიშება.....
- 10. სენსორი ზემოქმედების დროს სხვადასხვა რეჟიმის საიმედოობის შეფასება.....
- 10.1. საიმედოობის შეფასება "ზემოქმედება-წინააღმდეგობა" ანალიზით.
- 10.2. ამოვარდნის თეორიის ხერხების საშუალებით საიმედოობის შეფასება.....
- 10.3. ნაგებობების საიმედოობის შეფასება ავტომატური პროცესში წინააღმდეგობის ცვლილების გათვალისწინებით.....
- 10.4. ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობის მახასიათებელი შეფასება.....




ქართული
ენათმეცნიერება

10.5. დაკვირვებების შედეგების კორექტირება ზაიხის მიღ-
გომის გათვალისწინებით

დასკვნა

ლიტერატურა



დაკვირვებების შედეგების კორექტირება ზაიხის მიღ-
გომის გათვალისწინებით

დასკვნა

ლიტერატურა

დასკვნა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ისტორიამ არ შემოგვინახა პირველი კაშხლების შექმნის ზუსტი თარიღი. უძველესი ცივილიზაციის დღემდე მოღწეული ნანგრევები ადასტურებენ, რომ კაშხლები შენდობოდა რამდენიმე ათასი წლის წინ. უძველეს დროში კაშხლებს აშენებდნენ სარწყავად და წყალდიდობების თავიდან ასაცლებლად. ეს ნაგებობები ხშირად გვოცებენ თავისი სრულყოფილებით. მიუხედავად ამისა, პიდროტქენიკური მშენებლობის პრაქტიკაში ხშირია დაზიანებების, ნგრევის და კატასტროფების შემთხვევები, რომლებსაც თან სდევდა დიდი რაოდენობის ადამიანთა მსხვერპლი /127, 145, 146, 147, 148, 159, 173, 179, 180, 181/.

ამჟამად მსოფლიოში 15000-ზე მეტი კაშხალია და თითოეული მათგანი წარმოადგენს განსაზღვრულ საშიშროებას. ზოგიერთი ლიტერატურული წყაროების მიხედვით, რ.წ. XII საუკუნიდან დღემდე, მოხდა 2000 კაშხლის ავარია.

კაშხალის ნგრევის პირველი ფაქტი, რომელიც ისტორიაშია დაცემული, მოხდა საფრანგეთში, გრენობლის ახლოს ("მიწის კაშხალის" ნგრევა). კატასტროფა მოხდა მიწის კაშხალის დანგრევის შედეგად (მეწყერისაგან გამწვეული იყო ზღუდარი, რის შედეგადაც 28 წლის განმავლობაში ბურ-დ-უასონის ვაკეზე წარმოიქმნა 28 მეტრის სიღრმის ტბა). დიდი იყო დაზიანებების შედეგად მიღებული ზარალი, ასევე დიდი იყო დაღუპულთა რიცხვი.

XX საუკუნეში დაცემულია 200 დიდი ავარია, მათ შორის ბოლო 40 წლის მანძილზე 55 ავარია. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მცირე კაშხლების ავარია უფრო ხშირია, ვიდრე დიდი კაშხლების. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ მცირე კაშხლების მშენებლობის დროს არ არის გათვალისწინებული გაანგარიშებისა და ექსპლუატაციის სრულყოფილი წესები, ძირითადად არ ტარდება ნატურალური დაკვირვებები.



სტოქტონ კრიკის კაშხალი აშშ-ში, რომლის სიმაღლეა 55მ, დაინგრა 1950 წელს უბარისხო ყრილის გამო.

ორსის მიწის კაშხალი ბრაზილიაში, რომლის სიმაღლეა 36მ, დაინგრა იმის გამო, რომ წყალსავალი მდებარეობდა გაცილებით უფრო მაღალ ღონეზე, ვიდრე საჭირო იყო. ზღვიერთა მონაცემების მიხედვით კაშხალი დაინგრა 1960 წელს. დაიღუპა დაახლოებით 1000 ადამიანი.

1963 წელს, პორტუგალიაში, ანალოგიური მიზეზების გამო დაინგრა ბილარის ქვაყრილის კაშხალი, რომლის სიმაღლე იყო 30 მ.

55 მეტრის სიმაღლის "ევკლიდ და კუნხას" მიწის კაშხალი დაინგრა 1977 წელს ძლიერი წყალმოვარდნის შედეგად წყლის გადაღინების გამო.

დაუერ სან ფერნანდოს მიწის კაშხალი დაინგრა ზედა ბიუტეში მემყერის შედეგად, რომელიც ჩამოწვა 1971 წელს მიწისძვრის დროს.

აშშ-ში დოს-ანჟელესის ახლოს, 20 მ სიმაღლის ბოლდუინ პილის მიწის კაშხალი დაინგრა 1963 წელს. დანგრევამდე კაშხალი ფუნქციონირებდა მხოლოდ 12 წელიწადს. სახელმწიფო კომისია, რომელიც სწავლობდა ბოლდუინ ხილვის შემთხვევას, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კატასტროფის დროს 1963 წ. 14 დეკემბერს, წყალსაცავის ფუძეში მოხდა ტექტონური ძვრა. ამ რაიონში ზოგიერთი ასეთი პროცესები შეიმჩნეოდა ობიექტის აშენებამდე დიდი ხნით ადრეც.

კონტროლის ზუსტად აწყობილი სამსახურის წყალობით, მიუხედავად დიდი ზარალისა, წესამდებელი გახდა დიდი მსხვერპლის თავიდან აცილება /დაიღუპა 5 ადამიანი/.

აშშ-ში ტექტონის მიწის კაშხალი დაინგრა /1976წ/ წყალსაცავის ბირველ ავსებისთანავე. დანგრევის მიზეზად თვლიან მთავარი ვიწრო კაშხლის სივრცით კალაპოტის გასწორების არასწორ პროექტს. წყალმა შეაღწია გასწორებული კალაპოტის ძლიერშეღწევად გრუნტში.



ესპანეთში, ვეგა დე ტორას კონსტრუქციული ბეტონის კაშხალი, რომლის სიმაღლე იყო 348, დაინგრა 1959წ. პირველ ავსებისთანავე, მიზეზად ითვლება კაშხლის ფუძესა და ტანს შორის დრეკალობის მოდულის დიდი სხვაობის გამო გამოწვეული დიდი გამჭიმავი ძაბვები.

საფრანგეთში, 61წწ სიმაღლის მალპასეს ბეტონის თაღოვანი კაშხალი დაინგრა 1959წ. 2 დეკემბერს ის ფუნქციონირებდა დაახლოებით 5 წელიწადს. კაშხლის ნგრევის შედეგად წარმოქმნილია ტალღამ 11 კმ მანძილზე მიადგინა ხმელთაშუა ზღვამდე და გზაზე დაანგრია აბსოლუტურად ყველაფერი. დაიღუპა 420 ადამიანი. სპეციალისტების დიდმა ნაწილმა ავარიის მთავარ მიზეზად დაასახელა მარცხენა ნაპირის ქვეშ გრუნტის არაგამბეღობა. აგრეთვე გამოითქვა ვარაუდი ავარიის სხვა მიზეზებზე. გამოკვლევამ აჩვენა, რომ კაშხალი მოზრუნდა მარცხენა ნაპირზე განლაგებული წერტილის გარშემო.

მალპასეზე 1955 წლიდან ტარდებოდა ყოველწლიური გაზომვები, რომლებიც აჩვენებდნენ კაშხლის გადახრას. კაშხლის ფუძეში გადანაცვლება შეადგენდა 17მმ, ხოლო მთავარი კონსტრუქციის მონაცემებით პროექტით დასაშვები გადახდა ამ ადგილში იყო 10 მმ. სასამართლოში გამოიკვამ, რომ ნაგებობის გადაადგილებებს შესწავლას ჰდენდა სპეციალური ფირმა, მაგრამ გადამეტებული გადაადგილების შესახებ დამპროექტებლის იმფორმირებულნი იყვნენ მხოლოდ ავარიის შემდეგ.

1979წ. 11 აგვისტოს ინდოეთში, გუჯარათის შტატის დასავლეთით დაინგრა 268 სიმაღლის მარხუ II-ის ქვის წყალსაგდებიანი მიწის კაშხალი. ამ ობიექტის მშენებლობა დამთავრდა 1972წ. იგი დაინგრა წყალმოვარდნის შედეგად. წყალმა წაიღო 700 მეტრი მიწაყრილი კაშხლის მარჯვენა მხარეს და 1970 მეტრი მარცხენა მხარეს. კატასტროფის შედეგად დაიღუპა 2000 ადამიანი, ზოგიერთი წყარო კი ასახელებს 25000 ადამიანს, დაზარადა 150000 ადამიანი. ნგრევამდე ერთი დღით ადრე მწყობრიდან გამოვიდა



სატელეფონო და სხვა კავშირები. წყალსაცავის გადავსების მიზნად ოფიციალურად თვლიან ძლიერ წყალმოვარდნას, რომელიც გამოწვეული იყო მუსონური წვიმებით კატასტროფის შედეგად მსხვილი ქალაქი მოჩვი გადაიტვა ჭურჭყისა და რამოდენიმე ფუტის სიმაღლის ნაგავის გროვად. წყალდიდობამ დაანგრია 12000 სახლი და ნაწილობრივად დაზიანდა 7000 სახლი. დაიღუპა 15 მილიონი დოლარის მოსავალი.

კაშხლების მშენებლობის ისტორიის მთელ მანძილზე ყველაზე დიდი ნგრევა მოხდა 1965 წ. 2 დეკემბერს იტალიის პროვინციაში ვენტოში, სადაც აშენებული იყო 265 მეტრის სიმაღლის თაღვანი კაშხალი ვაიონტი. კაშხლის მშენებლობა დამთავრდა 1960 წელს და იგი ითვლებოდა მსოფლიოში ყველაზე მაღალ თაღვან კაშხლად. წყალსაცავის ტევადობა იყო 150 მლნ. კუბომეტრი. კანიონის მარჯვენა მხრიდან ჩამოსული მეწყერის მოცულობა შეადგენდა 240 მლნ. კუბომეტრს. მან დაფარა წყალსაცავი 1,8 კმ. მანძილზე, ხოლო 150 მეტრით წყალსაცავის ღონის სიმაღლეზე მაღლა. კლდოვანი მასის სწრაფმა დაშვებამ 30 მ/სეკ. სიჩქარით, შექმნა საპიერო ტალღა, რომელმაც ააგდო წყალი და ქვები კანიონის მარცხენა კედლის განწვერივ 240 მეტრის სიმაღლეზე, წყალსაცავის ჩვეულებრივ ზედაპირზე მაღლა. კატასტროფის მიზეზი იყო წყალსაცავში კლდოდან ჩამოშვებული მეწყერი. მაღალი სიჩქარით მოძრავი დიდი მასის დარტყმამ გამოიწვია წყალსაცავში უზარმაზარი ტალღების გაჩენა, რომლებმაც დაიწყეს გადმოღვრა კაშხალიდან. მეწყერისა და წყლის წნევის შედეგად კაშხალი მიიღო 36000 მეგატონის ძალის დარტყმა. კაშხლიდან 1,6 კმ მანძილზე გიგანტური ტალღის სიმაღლე იყო 70 მეტრზე მეტი. მრავალი კილომეტრის მანძილზე შიავეს დაბლობზე წყალმოვარდნის ტალღა ანადგურებდა ქალაქებს და დასახლებულ პუნქტებს. მეწყერს ხელი შეუწყო ძლიერმა წვიმებმა. კატასტროფის შედეგად დაიღუპა 2600 კაცი.

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები იმაზე მიტყვევებენ, რომ მიუხედავად გაანგარიშების, პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის მეთოდების სრულყოფისა, ავარიებს ისევ აქვთ ადგილი და სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათად.

ავარიების შედეგად გამოწვეული უზარმაზარი ზარალი გახდა მიზეზი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კაშხლების ნგრევისა და მათი დაზიანების მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

ინფორმაციის შეგროვების, ავარიებისა და დაზიანებების მონაცემების ანალიზთან ერთად სულ უფრო ხშირად ისმის საკითხი ნაგებობების დაზიანების და ავარიების გამომწვევი მიზეზების ღრმა შესწავლის, თეორიული გამოკვლევების ჩატარების შესახებ. სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ფაქტორების სტოქასტიკური ხასიათი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ნორმალურ მუშაობის დროში, მეტად აქტუალური გახდა ამოცანა სხვადასხვა კონსტრუქციების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ეტაპიდან "სიცოცხლის" ბოლომდე, მუშაობის საიმედოობის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

ისევე როგორც ყველგან, მთელი მსოფლიოში ყოველ საბჭოთა კავშირში ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობის უზრუნველყოფისათვის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიმდევრილია: [3-6; 9-10; 12, 13, 15, 18, 19, 20, 22-25, 27, 28, 29, 31, 32, 34, 37, 40-70, 72, 75, 78, 82, 83, 85, 86, 88-91, 95, 97, 98, 101-120, 123, 124, 129, 130, 132, 134-137, 138, 141, 142, 153, 156, 161, 162, 164, 166, 168, 172, -175, 179-186, 188, 199]

საქართველო ძალზე მდიდარია წყალენერგეტიკული რესურსებით, ქვეყანა იყენებს ამ პოტენციური შესაძლებლობების მხოლოდ 12%, საქართველოში აგებულია როგორც ენერგეტიკული, ასევე ირიგაციული დანიშნულების მქონე კაშხალების მეტად მცირე რაოდენობა.

ამ ნაგებობების სიმაღლე და მასშტაბის მდებარეობა აუცილებლად უნდა განისაზღვროს.

ჩატარდეს მათი ტექნიკური მდგომარეობის გულმოდგინე შესწავლა

ზოგიერთ კაშხალზე დაკვირვება მაღალ ღონებზე, მაგალითად: ენგურის კაშხალზე, შინვალის კაშხალზე, ალგეთის კაშხალზე, მაგრამ ბევრ ნაგებობას გამომყენებლების მხრივ არ ემთხვევა ყურადღება. მრავალი ნაგებობა უნდა აღიჭურვოს გაზომვების საფუძვლი კუთვნილი საშუალებებით, რათა ჩატარდეს შემდგომი გეგმაზომიერი გამოკვლევები.

ნაგებობებზე ავტომატური დაკვირვებების საშუალებების მოწყობა და მისი საიმედოობის მონაცემების ავტომატური მიღება ყველაზე მეტად ეფექტურია დღემდე არსებულ ყველა მეთოდებს შორის. ამიტომ მათი შემდგომი სრულყოფა, საიმედოობის შეფასების ახალი მეთოდების შექმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას და ამ ამოცანის გადაწყვეტა ნაგებობების ავარიის რისკს მინიმუმამდე დაიყვანს.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში /შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია/ შექმნილია და წარმატებით იყენებენ ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ავტომატიზირებული კომპლექსებს, მსოფლიო ბაზარზე ასეთი კომპლექსების საბაზრო ღირებულება შეადგენს ათი ათასობით დოლარს, მაგალითად: "მიდას" კომპლექსი იტალიაში დაახლოებით 70 ათასი დოლარი ღირს.

კაშხალების საიმედოობის უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებლად გახდის გაიზარდოს მრავალი ჰესისა და ირიგაციული წყალსაცავების ეფექტურობა და ამგვარად შესაძლებელი გახდება ამ ობიექტების სტაბილური, მომგებიანი ფუნქციონირება.

სადასრულო მიზნები. გამოკვლევის მიზანია კაშხალების ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ავტომატიზირებული უნივერსალური მეთოდის დამუშავება და აგრეთვე პროექტირების ეტაპზე ნაგებობათა საიმედოობის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა.

გამოკვეთის მიზნის შესაბამისად დასმული და გადაწვეტილი ნიშნის

შემდგომი ამოცანები:

- ნაგებობებზე ინტენსიური ნატურალური გამოკვლევების ხანგრძლივობის დადგენა,

±: პირობებში ნაგებობების ნატურული გამოკვლევების დროს

- სხვადასხვა პირობებში დაკვირვებისას ფიქსაციის "გაზომვის" ოპტიმალური სიხშირის დადგენა,

- ნაგებობებში გამზომი სისტემების რაციონალური განლაგება,

- ბეტონის ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკა,

- ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის იხვედი დეტერმინისტული მოდელების შექმნა, რომლებიც საშუალებას იძლევიან ნატურული მონაცემების საფუძველზე ოპერატიულად შეფასდეს ნაგებობების საიმედოობა,

- ნაგებობების სხვადასხვა სტრუქტურულ ევოლუციებზე ტემპერატურის ზემოქმედების შეფასების მეთოდის დამუშავება,

- პირობებში ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე ალგორითმების და პროგრამული კომპლექსის დამუშავება; JBM პერსონალური კომპიუტერების საფუძველზე.

- კაშხალის ფუნქციონირების ხანგრძლივობის შეფასება ნატონის ზემოქმედების შემთხვევაში (წყალსაცავის დაღამვა)

- სტატისტიკური მოდელების მეთოდების გამოყენება პროექტირების ეტაპზე ნაგებობათა საიმედოობის შეფასების საფუძველზე.

ავტორი იცავს:

- ნაგებობებზე ინტენსიური ნატურული გამოკვლევების ხანგრძლივობის დადგენის მეთოდოლოგიას,

- სხვადასხვა პირობებში დაკვირვებისას ფიქსაციის "გაზომვის" ოპტიმალური სიხშირის დადგენა ნატურული გამოკვლევების ჩატარების



პერიოდში აგრეთვე ნაგებობებში გამოზომი სისტემების რაციონალური ნაწილება;

- ბეტონის ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკას;
 - ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დეტერმინისტული მოდელის შექმნას, რომლებიც საშუალებას იძლევიან ნატურული მონაცემების საფუძველზე ოპერატიულად შეფასდეს ნაგებობების საიმედოობა;
 - ნაგებობების სტრუქტურულ ეფექტებზე ტემპერატურის ზემოქმედების შეფასების მეთოდის დამუშავება;
 - შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისათვის ალგორითმების და აპროგრამული კომპლექსის დამუშავებას JBM პერსონალური კომპიუტერებისათვის;
 - კაშხალის ფუნქციონირების ხანგრძლივობის შეფასება მეთოდისა და ნატანის ზემოქმედების შემთხვევაში (წყალსაცავის დაღამვა)
 - პროექტირების ეტაპზე ნაგებობათა საიმედოობის შეფასებისათვის სტატისტიკური მოდელირების მეთოდის გამოყენებას;
- სამუშაო სრულდებოდა 1982-1993 წლებში საქართველოს ენერგეტიკის და პილროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, იტალიის ნაციონალური ენერგეტიკული ფირმის "ენელის" მილანის პილრაველიკის და პილროტექნიკურ ნაგებობათა კვლევის ცენტრში, პილროტექნიკური ნაგებობების დიაგნოსტიკის საკვლევ ცენტრში სამეცნიერო-კვლევითი თემები: "ნატურული დაკვირვებების მონაცემების განზოგადობა და ანალიზი ბეტონის პილროტექნიკურ ნაგებობათა თეორიული და მოდელური გამოკვლევების საფუძველზე" /0.55.08.06. /, დავალება 114ა "დამუშავდეს საპასუხისმგებლო პილრონაგებობების ნატურული გამოკვლევების კომპლექსური ჩატარების და ორგანიზაციის ეფექტური მეთოდები, მათი საექსპლუატაციო საიმედოობის შეფასების მეთოდები".



კვლევის მიზნები: სამუშაოს ძირითადი მიზანი მიღწეულია სამამულო, ასევე საზღვარგარეული წყაროების განზოგადებისა და ანალიზის საფუძველზე, საიმედოობის თეორიის, სტატისტიკური მეთოდების, ტექნიკური დიაგნოსტიკის მეთოდების, ბოლო ელემენტის მეთოდის, ტექნიკური მეთოდების დიაგნოსტიკის გამოყენების საფუძველზე. მიღებული შედეგების უფლებამოსილება დასაბუთებულია ნატურული და თეორიული მონაცემების შეჯერებით.

ნაგებობის მიზნობრივი სინახლე შედეგები

- დამუშავებულია ნატურული დაკვირვებების ხანგრძლიობის დადგენის მეთოდოლოგია;
- დამუშავებულია ფიქსაციის "გაზომვის" ოპტიმალური სიხშირის დადგენის მეთოდოლოგია ნატურული გამოკვლევების ჩატარებისას,
- დამუშავებულია საზომი სისტემების რაციონალური განაწილების მეთოდოლოგია,
- დამუშავებულია ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დეტერმინისტური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა ნატურული მონაცემების საფუძველზე შეფასდეს ნაგებობის მუშაობის უნასიანობა;
- დამუშავებულია ნაგებობების სტრუქტურულ ეფექტებზე ტემპერატურის ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია,
- დამუშავებულია პერსონალური კომპიუტერების პროგრამების კომპლექსი ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისათვის,
- დამუშავებულია ნატანის გავლენის მოქმედებით კაშხლის ხანგრძლიობის შეფასების მეთოდოლოგია,
- სტატისტიკური ცდების საფუძველზე დამუშავებულია მეთოდოლოგია ნაგებობების საიმედოობის შეფასებისათვის.

ნაშრომის კრატტიკული ლიტერატურა

- დამუშავებულია ინტენსიური ნატურული დაკვირვებების ხანგრძლივობის დადგენის მეთოდოლოგია, პროცესების ფიქსაციის "გაზომის" ოპტიმალური სიხშირის დაწესება, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე საზომი სისტემების რაციონალური განაწილება;

- დამუშავებულია ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასებაზე მეთოდოლოგია ნაგებობების საიმედოობაზე ძირითადად მოქმედი ფაქტორების უფრო მეტად დასაბუთებული გათვალისწინება თეორიული და ნატურული გამოკვლევების საფუძველზე;

- დამუშავებულია პროგრამების კომპლექსი PC IBM პერსონალური კომპიუტერისათვის ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასებაზე;

- დამუშავებულია ნატანის გავლენის ჰიდროტექნიკური ნაგებობების ხანგრძლივობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, (წყალსაცავის დაღამვა)

- დამუშავებულია სტატისტიკური ცდების მეთოდოლოგია ნაგებობათა საიმედოობის შეფასებაზე.

ნაშრომის რეზიუმე. ჩატარებული გამოკვლევების შედეგები გამოყენებულა საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ნატურული გამოკვლევების განყოფილებაში, ენგურპესზე ნატურული გამოკვლევების ჩატარებისას.

ნაშრომის შედეგები გამოიყენებულა ალგეის წყალსაცავის კაშხალზე ნატურული დაკვირვებების ჩატარებისას და აგრეთვე დაღის მთის წყალსაცავის კაშხლის გამოზომი საშუალებით აღჭურვისას.

ნაშრომის ზოგი შედეგი შევიდა პუბლიკაციაში "რეკომენდაციები ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობის შეფასებისათვის" II-84წ-86. ჰიდროპროექტი, მოსკოვი 1986.

ნაშრომის აკრუბაცია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები

ბი მოხსენებულ და განხილულ იყო ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საკავშირო კონფერენციაზე "ქვეების მშენებლობა მთის პირობებში /ფოთი, 1982/; ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საკავშირო სკოლა-სემინარზე "სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ხარისხი და საიმედოობა სეისმურ მშენებლობაში" /ზათუმი, 1984/; მშენებარე და ექსპლუატირებული მსხვილი საინჟინრო ნაგებობების მდგომარეობის შეფასების მეთოდების და საშუალებების კომისიის სემინარზე" გამოკვლევები ქანებისა და ნაგებობიანი გრუნტის ურთიერთქმედების შესახებ" /საბერო, 1985/, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა VI სამეცნიერო-ტიქნოლოგიური VI რესპუბლიკური კონფერენციაზე "წყლის რესურსების გამოყენებისა და მელიორაციის საკითხები/ ერევანი, 1985/, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა სკოლა - სემინარზე "საშენ მასალათა და კონსტრუქციათა ხარისხი და საიმედოობა სეისმურ მშენებლობაში /თბილისი, 1986/, საკავშირო სამეცნიერო-ტიქნოლოგიური თაბირზე "მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ჰიდროტიქნიკური ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება კომპლექსური გამოკვლევების შედეგად: ნატურული, თეორიული და ლაბორატორიული" /ჯვარი, 1987/. პიდროლოგიური გამოკვლევებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე /ოტავა, კანადა, 1989/; წყლის ეკოსისტემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე/ ნამური, ბელგია, 1991/ (ფრენტასა და წყლის სექციაზე საერთაშორისო კონფერენცია "სოფლის მეურნეობაში კვლევების ორგანიზაცია" ტელ.ავ-ვი ისრაელი 1993)

დისერტაციის თემის შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომებში.



ნაშრომის მითითება დისერტაცია შედგება 9 თავისა და დასკვნისა

ბისაგან, გამოყენებულია 189 სამეცნიერო წყარო, ნაშრომში გვერდია.
აქდან ცხრილი, ნახატი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. ჰიდროტიქნიკური ნაგებობათა საინჟინორობის შეფასების

ანუხანები

 1.1. კაშხლების ტექნიკური მდგომარეობაზე ნატურული
 გასუკვეთების ხანგრძლივობის დადგენა

კაშხლებზე მომხდარი ავარიების და დაზიანებების ანალიზს მრავალი მკვლევარი უთმობს დიდ ყურადღებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. ამის ნათელი დადასტურებაა მრავალრიცხოვანი ნაშრომები, რომლებიც წარმოდგენილია ბოლო დროს დიდი კაშხლებისადმი მიძღვნილ კონგრესებზე /ნიუ-დელი, რიო-დე-ჟანეირო, ლოზანა/, საერთაშორისო კონფერენციებზე, რომელიც მიეძღვნა კაშხლების საინჟინორობას, (კონინბრა /პორტუგალია/) აგრეთვე საერთაშორისო სიმპოზიუმზე კაშხლების უსაფრთხოებაზე უწყვეტი დაკვირვებები", /კანდჯუში ჩინეთში/ ამ მხრივ უნდა აღინიშნოს შრომა, რომელიც შესრულებულია საქართველოს ენერჯეტიკისი და ჰიდროტექნიკური ნაგებობათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში [20,70,111,179] და საზღვარგარეთ [145,146,147,156,159]

მირთადი ფაქტორების, რომლებიც მოქმედებენ კაშხლების საინჟინორობაზე, ანალიზის მიზნით ჩატარებულია დაახლოებით 700 ინციდენტის სტატისტიკური დამუშავება, ხოლო ავარიებისა და დაზიანებით 900 კაშხლის, ამასთან ერთად გამოკვლეულია ავარიებისა და ინციდენტების ინტენსიობის დამოკიდებულება შემდეგ ფაქტორებთან: ჯდენასა და ფუბის მდგრადობის დაკარგვასთან: კაშხლის ფუბები ტანში და ნაპირების გასწვრივ ამოღებულ ფილტრაციასთან, წყალსაცავების ავსებასთან და დაცლასთან, კაშხლის სხეულში ტემპერატურისა და ჯდენის ბზარებთან, შენაცვლებით გაყინვისა და გაღვლასთან, გარემოს აგრესიულობასა და მასალის არასაკმარის სიმკვრივესთან, წყალსაცავში წყლის დონის რევასთან და ქარისაგან გამოწვეული ტალღების ზემოქმედებასთან; სტიქიურ უბედურებებთან. [20,70,111]



საიმედოობის თეორიის საფუძველზე, სხვადასხვა ტიპის კაშხალების სათვის დადგენილია ამ ნაგებობების უავარიო, უინციდენტო და შეუფერხებელი მუშაობის დროისა. აღბათობის სიმკვერივი განაწილება.

ანაღიზის შედეგად დადგენილია, რომ კაშხალებზე ავარიებისა და ინციდენტების ინტენსიობის განაწილება დროში, კაშხლის ტიპების დამოუკიდებლად, კარგად აღწერება ვიზუალის განაწილების კანონით. ამასთან, განაწილების მასშტაბითი პარამეტრი იცვლება 17 დან 254-დე, ხოლო ფორმის მახასიათებელი პარამეტრი - 0,1 -დან 0,5-მდე.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი დადგენილი მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის კაშხალების საიმედოობას მახასიათებლებია.

გრამოტაპიური კაშხალები კაშხალების შეუფერხებელი მუშაობის აღბათობა მისი 60 წლის ექსპლუატაციის მანძილზე შეადგენს 0,967 და 0,9 აღბათობით იმყოფება სარწმუნო ინტენვალში /0,967-0,977/. ამასთან ერთად უავარიო მუშაობის აღბათობა, იმავე პერიოდის მანძილზე შეადგენს 0,989 და იმყოფება სარწმუნო ინტენვალში 0,987-0,992. ხოლო ინტენვალი 0,974-0,979 აჩვენებს უინციდენტო მუშაობის აღბათობას 0,977 ნახ. 1.1.

გრაფიტაციული კაშხალების ავარიებისა და ინციდენტების დიდი ნაწილი ფუძის მდგრადობის დაკარგვისაა განპირობებული. ამ ფაქტორის მოქმედების ინტენსიობა შედარებით მაღალია, ასევე ფილტრაციისა კაშხალის ტანსა და ფუძეში /შეცხვამისად 15 და 14%, ტემპერატურისა და ჯდენის ბზარები /12%/ პირველად შემჩნევა მშენებლობის დამთავრებიდან 2-3 წლის მერე და ექსპლუატაციის დაწყებისთანავე. ამის შემდეგ ინტენსიობა კლებულა და იწყება ნაგებობების "ნორმალური" მუშაობა. გაყინვისა და გალღობის შენაცვლების ზემოქმედება /15%/ და წყლის აგრესიულობა /12%/ შეიძლება კაშხალის ექსპლუატაციიდან 10-15 წლის შემდეგ, ხოლო კაშხალის საიმედოობაზე არსებით გავლენას ახდენს 40-60 წლის შემდეგ.



თაღოვანი კაშხლები. კაშხლები შეუფერხებელი მუშაობის აღბათობა მისი 60 წლის ექსპლუატაციის მანძილზე, შეადგენს 0,918 და იმყოფება სარწმუნო ინტერვალში 0,866-0,950. უავარიო მუშაობის აღბათობა, 0,978 40 წლის ექსპლუატაციის მანძილზე, იმყოფება სარწმუნო ინტერვალში 0,976-0,981. თაღოვანი კაშხლების უინციდენტო მუშაობის აღბათობა 60 წლის ექსპლუატაციის მანძილზე შეადგენს 0,929 და იმყოფება ინტერვალში 0,921-0,937 /ნახ. 1.1./

ფუძის მდგრადობის დაკარგვა თაღოვანი კაშხლების ავარიები ისა და ინციდენტების დიდ ნაწილის მთავარი ფაქტორია. თაღოვანი კაშხლების დაზიანების მაქსიმალური ინტენსიობა 2 ჯერ მეტია, ვიდრე გრავიტაციული კაშხლებისა და ხდება ექსპლუატაციის პირველ 2-3 წელიწადში. ექსპლუატაციის პირველ წლებში ავარიები და ინციდენტები ხდება ტემპერატურისა და ჯდენის ბზარების გამო /12%/. ფილტრაცია კაშხლის ფუძეში /14%/ და კაშხლის ტანში /9%/ ვლინდება კაშხლის საიმედოობაზე შესაბამისად პირველი 3-4 წლის განმავლობაში, თუმცა ცნობილია შემთხვევები, როცა ინციდენტები და ავარიები წარმოიშვებოდნენ მითითებული დროის შემდეგ, თუმცა მათი წილი უმნიშვნელოა. გაყინვისა და გაღებვის შენაცვლება /15%/ და წყლის აგრესიულობა /14%/ ასევე როგორც გრავიტაციული კაშხლებში, ადენენ ზემოქმედებას ექსპლუატაციის დაწყებიდან 10-15 წლის შემდეგ.

აღნიშნული მასალების კაშხლები. კაშხლები შეუფერხებელი მუშაობის აღბათობა შეადგენს 0,901 და იმყოფება სარწმუნო ინტერვალში 0,892-0,910.

რაც შეეხება უავარიო მუშაობის აღბათობას, იგი ექსპლუატაციის იგივე პერიოდის განმავლობაში შეადგენს 0,967 და იმყოფება სარწმუნო ინტერვალში 0,963-0,972. ხოლო უინციდენტო მუშაობის აღბათობა 0,935 იყარება 0,931-0,942 ინტერვალში /ნახ. 1.1./.




ფუძის მდგრადობის დაკარგვა თაღვანი კაშხლების ავარიებისა და ინციდენტების დიდ ნაწილის მთავარი ფაქტორია. თაღვანი კაშხლების დაზიანების მაქსიმალური ინტენსიობა 2 ჯერ მეტია, ვიდრე გრავიტაციული კაშხლებისა და ხდება ექსპლუატაციის პირველ 2-3 წელიწადში. ექსპლუატაციის პირველ წლებში ავარიები და ინციდენტები ხდება ტემპტურისა და ჯენის ბზარების გამო /12%/. ფლტრაცია კაშხლის ფუძეში /14%/ და კაშხლის ტანში /9%/ ვლინდება კაშხლის საიმედოობაზე შესაბამისად პირველი 3-4 წლის განმავლობაში, თუმცა ცნობილია შემთხვევები, როცა ინციდენტები და ავარიები წარმოიშვებოდნენ მითითებული დროის შემდეგ, თუმცა მათი წილი უმნიშვნელოა. გაყინვისა და გაღობის შენაცვლება /15%/ და წყლის აგრესიულობა /14%/ ასევე როგორც გრავიტაციული კაშხლებში, ახდენენ ზემოქმედებას ექსპლუატაციის დაწყებიდან 10-15 წლის შემდეგ.

აღგობრივი მასალების კაშხლები. კაშხლის შეუფერხებელი მუშაობის აღბათობა შეადგენს 0,901 და იმყოფება საწმუნო ინტერვალში 0,892-0,910.

რაც შეეხება უავარიო მუშაობის აღბათობას, იგი ექსპლუატაციის იგივე პერიოდის განმავლობაში შეადგენს 0,967 და იმყოფება საწმუნო ინტერვალში 0,963-0,972. ხოლო უინციდენტო მუშაობის აღბათობა 0,935 ივარება 0,931-0,942 ინტერვალში /ნახ. 1.1/.

აღგობრივი მასალების კაშხლის ძირითადი დამანგრეველი ფაქტორია ფლტრაცია ფუძის გავლითა და ნაპირების გასწვრივ /17%/, წყლით ქიმზე გადავლება /15%/, აგრეთვე კაშხლის ტანში ფლტრაცია /12%/, რომელიც იმავე ვადაში ვლინდება, რომელშიც ზემოთ განხილულ შემთხვევებში /ზუზუნბრივია, წყლის ქიმზე გადავლების გარდა/.



ნახ. 1.1. სხვადასხვა ტიპის კაშხლების საიმედოობის მარკენებლები:
 A - გრავიტაციული, B - თაღვანი, C - ადგილობრივი მასალების,
 D - კონტროლის, - შეუფერხებელი მუშაობის ინტენსიობა,
 - უავარიობის /1/, უინციდენტობის /2/, შეუფერხებლობის /3/
 აღბათობა




კონტროლური კაშხალები. ამ ტიპის კაშხალების შეუფერხებელი

მუშაობის აღბათობა 60 წლის ექსპლუატაციის მანძილზე შეადგენს 0,89 და იმყოფება საარწმუნო ინტერვალში 0,887-0,896. რაც შეეხება უავარიო /3წლის მანძილზე/ და უინციდენტო/ 60 წლის მანძილზე/ მუშაობას, მათ შესაბამისად გააჩნიათ მნიშვნელობები 0,976 და 0,914 და იჭარბებიან ინტერვალებით 0,963-0,988 და 0,889-0,928 /ნახ. 1.1./

ასეთი კაშხალების ძირითადი დამანგრეველი ფაქტორია ფუძის მდგრადობის დაკარგვა /24%/ და ფილტრაცია /23%/. აგრეთვე ისეთი ფაქტორები, როგორცაა: შენაცვლებითი გაყინვა და გაღებობა, წყლის აგრესიულობა და არასწორი ექსპლუატაცია, ყველაფერი ეს ერთნაირად მოქმედებს მათ საიმედოობაზე /12%/.

ყველა ზემოთ განხილულ კაშხალებზე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი ტიპისაა, ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ჯდენის ბზარები, ნაგებობების ჯდენა. ჯდენა და ფუძის მდგრადობის დაკარგვის ინტენსიობა მაღალია ექსპლუატაციის დაწყებიდან 3-4 წლის განმავლობაში. ფილტრაცია კაშხლის ტანში, ფუძის გავლით და ნაპირების გასწვრივ, კავიტაცია და გაცვეთა, წყალსაცავებში წყლის ღონის რყევა და ტალღური ზემოქმედებები დომინირებენ პირველი 4-5 წლის განმავლობაში. მასალის არასაკმარისი მდგრადობა, შენაცვლებითი გაყინვისა და გაღებობის ზემოქმედება და აგრეთვე წყლის /გარემოს/ აგრესიულობა არსებითად მოქმედებენ კაშხალის საიმედოობაზე 40-60 წლის შემდეგ.

ამგვარად, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი ტიპისაა კაშხალი, აგრეთვე მიუხედავად მშენებლობის პერიოდისა და ექსპლუატაციის პირობებისა, კაშხაზე ინციდენტის და ავარიების მაქსიმალური ინტენსიობა შეიმჩნევა წყალსაცავის ავსებიდან პირველი 5-7 წლის განმავლობაში, ანუ, ამ პერიოდში დიდია ზემოთგანხილული ძირითადი ფაქტორთა ზემოქმედება კაშხალის საიმედოობაზე. 5-7 წლის შემდეგ, როდესაც მოხდება კაშხალის "შეგუ-



ება", ინციდენტებისა და ავარიების ინტენსიობა კლებულობს და იწყება ნაგებობების "ნორმალური" ექსპლუატაცია, რომელიც საშუალო ხანგრძლივობა 47-60 წელი. ამ პერიოდის დამთავრების შემდეგ იწყება "დაბერება", ანუ თვითონ კაშხლის მასალის თანდათანობითი დაშლა.

მტყუნებათა ინტენსიურობის მრუდები, რომელიც ნაშრომშია მიღებული /111, 179/, შესაძლებლობას იძლევიან ამოიხსნას კაშხლებზე გამოკვლევის ვადების დადგენის მნიშვნელოვანი ამოცანა.

განვიხილოთ $\lambda(t)$ გრაფიკი /ნახ. 1.1./ უფრო დაწვრილებთ.

ყველა განხილული ტიპის კაშხლებისათვის მტყუნებათა ინტენსიურობის გრაფიკის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ $\lambda(t)$ არის დროის ფუნქციის მონოტონურად კლებადი, ისეთი რომ

$$\lim_{t \rightarrow \infty} \lambda(t) = C_0 \quad /1.1/$$

სადაც C_0 მტყუნებათა ინტენსიურობის დამყარებული მნიშვნელობა.

იმისათვის რომ ვიპოვოთ $\lambda(t)$ შეიძლება გამოვიყენოთ უმცირეს კვადრატების მეთოდი. მიღებული მტყუნებათა ინტენსიურობის მრუდები აპროქსიმირდებიან ფუნქციური დამოკიდებულებით, ასეთი სახით:

$$\lambda(t) = C_1 e^{-\alpha t} + C_0 \quad /1.2/$$

სადაც C_0, C_1, α უცნობი კოეფიციენტები, ამასთან ერთად

$$C_0 > 0, \quad C_1 > 0, \quad \alpha > 0$$

კოეფიციენტები C_0, C_1, α განისაზღვრებიან საფეხუროვანი მრუდით /ნახ. 1.1./

C_0 კოეფიციენტი გამოიანგარიშება ფორმულით

$$C_0 = \frac{\lambda_1 \lambda_n - \lambda^2_{საშ}}{\lambda_1 + \lambda_n - 2 \lambda_{საშ}} \quad /1.3./$$

სადაც λ_1 - მრუდის ერთი პირველი ორდინატა

λ_n - მრუდის ორდინატა, რომლის აბსცისა აირჩევა ერთი ბოლო ტოლი მნიშვნელობისაგან

$\lambda_{საშ}$ - ექსპერიმენტული მრუდის ორდინატა, რომლის აბსცისა აირჩევა $t_{საშ} = (t_1 + t_n)/2$ პირობიდან

C_1, α მნიშვნელობები გამოიანგარიშება ფორმულებით

$$\ln C_1 = \frac{\sum_{i=1}^K \sum_{j=1}^K \varphi_i^2 - \sum_{j=1}^K x_j \varphi_j^2 \sum_{j=1}^K x_j}{K \sum_{j=1}^K x_j^2 - \left(\sum_{j=1}^K x_j \right)^2} \quad /1.4./$$

$$\alpha = \left| \frac{K \sum_{j=1}^K x_j \varphi_j - \sum_{j=1}^K x_j \sum_{j=1}^K \varphi_i}{K \sum_{j=1}^K x_i^2 - \left(\sum_{j=1}^K x_j \right)^2} \right| \quad /1.5./$$

სადაც K - მტყუნებათა ინტენსიურობის მრუდის ნახტომების სიმრავლე.

$$\varphi_i = \ln(C_j - b_0) \quad x_j = t/2$$

ისეთი პიდროტექნიკური ობიექტებისათვის, როგორცაა კაშხალები, შეიძლება მივიღოთ, რომ საიმედოობის ნორმირებულ მაჩვენებელს წარმოადგენს შეუფერხებელი მუშაობის ალბათობა მოცემულ დროში. $P(t_0)$

კაშხალის შეუფერხებელი მუშაობის ალბათობა, რომელზედაც დროის განმავლობაში ტარდება ნატურული გამოკვლევები, შეიძლება განვსაზღვროთ ტოლობით

$$P(t_0) = e^{-\int_{t_{\text{ნაბ}}}^{t_{\text{ნაბ}} + t_0} \lambda(t) dt} \quad /1.6./$$

თუკი /2.6./-ში ჩავსვამთ /2.2/, ვიღებთ დამოკიდებულებას ნატურული გამოკვლევების ჩატარების დროის განსაზღვრავად

$$t_{\text{ნაბ}} = \frac{1}{\alpha} \ln \left\{ \frac{\alpha}{C_1} \left[\frac{C_0 t_0 + \ln}{e^{-\alpha t_0} - 1} \right] \right\} \quad /1.7./$$

ცნობილია, რომ კაშხალის ექსპლუატაციის საწყის პერიოდში დეფექტების გამომჟღავნება და მათი აცილება განსაზღვრავს მათ მომავალ მუშაობას.



ნაგებობის დეფექტების დადგენის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა კომპლექსური ნატურული გამოკვლევები.

ნატურული გამოკვლევების მთავარი ამოცანაა - დროზე გამოვლინდეს დამახასიათებელი უწყისივრობები, ანომალური მოვლენები და ა.შ.

კაშხლებზე ნატურული გამოკვლევების ხანგრძლივობის სწორად დადგენისათვის საჭიროა განისაზღვროს მტყუნებათა ინტენსიურობის ფუნქცია $\lambda(t)$, ანუ პროცესის მათემატიკური მოდელი.

სხვადასხვა წყაროების თანახმად "მისახმარებს" პროცესის მათემატიკური მოდელის სახით გამოიყენებიან სხვადასხვა განაწილებები: ექსპონენციალური, ნორმალური, ვეიბულის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კაშხლებზე ავარიებისა და ინციდენტების ინტენსიურობა აღიწერება ვეიბულის ორპარამეტრული კანონით:

აჩსებული ფუნქციონალური გამოსახულებით მტყუნებათა ინტენსიურობისათვის $\lambda(t)$ გრავიტაციული, თაღვანი და გრუნტის მასალების კაშხლებისათვის გაანგარიშებულია დრო სხვადასხვა სახის ნატურული გამოკვლევებისათვის $t_a = 100$ წელიწადს. გაანგარიშების შედეგები დატანილია 1.1. ცხრილში.

ცხრილი 1.1.

ნატურული გამოკვლევების ვარიანტი კაშხლებზე

ნატურული გამოკვლევები	კაშხლის ტიპი		
	გრავიტაციული	თაღური	გრუნტის მასალებზე
ფუძის გეოლოგია	1 წელი	0,6 წელი	6 წელი
ფილტრაცია:			
- ტანში	7 წელი	1,4 წელი	6 წელი
- ფუძეში	9 წელი	6 წელი	3 წელი
დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა	4,5 წელი	1 წელი	7 წელი



მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა უფრო დასაბუთებულად დავ-
ნიშნო ინტენსიურ ნატურული გამოკვლევების ვადები და ამით გარკვე-
ულად იყოს გარანტირებული ნაგებობების შემდგომი უსაფრთხო ექსპლუა-
ტაცია.

1.2. ამოხანის ამოხსნა "გაზომვის" ფიქსაციის ოპტიმალური
სიხშირის დანიშვნის შესახებ, პილროტიქნიკურ ნაგებო-
ბებზე ნატურული, გამოკვლევების დროს

მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ჩატარებული მეცნიერული
გამოკვლევების ძირითადი მიზანია პილროტიქნიკურ ნაგებობათა ნორმალუ-
რი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

პილროტიქნიკური ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პრო-
ცესის დროს ჩატარებულმა გამოკვლევებმა და საკონტროლო დაკვირვებებმა
ცხადყო, რომ ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენს დაკვირვებების სიხ-
შირისა და ხანგრძლივობის დადგენა.

დაკვირვებისა და სიხშირის ხანგრძლივობის დაუსაბუთებლობის შემ-
თხვევაში შესაბამისი ინტონაცია შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, ან
შეიძლება იყოს ზედმეტად მოცულობითი, რაც მეტად ამაღლებს გამოკვლე-
ვის ლირებულებას. ამის გარდა, ნატურული დაკვირვებების ხანგრძლივობა
და სიხშირე კარნახობს გაზომვის სისტემის t_{emin}

მუშაობის მინიმალურად აუცილებელ ვადას, რაც ნატურულ დაკვირვე-
ბებშია მიღებული. წინა ცდებიდან გამომდინარე აწესებენ დაკვირვებების
სიხშირეს, ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტილება იღებს ნებაყოფლობით ხა-
სიათს.

ჩვენს მიერ შემთავაზებულია ამოხანის მიახლოებითი ანალიზური
ამოხსნა დაკვირვების ოპტიმალური სიხშირის დასადგენად /ანათვლების
აღება/



ვისარგებლოთ კაშხლის ტან ში, არსებული და აბაბულ-დეფორმირებული მდგომარეობაზე დაკვირვებით /ენგურის თაღვანი კაშხლის მაგალითზე. /ნახ. 1.2.-1.5./

ამოხსნის სიმარტივისათვის შემოვიფარგლოთ საწყისი ეტაპით /30 დღე-წამე/ შემდეგ ეტაპებზე ამოხსნა ანალოგიური იქნება. შემოვიტანოთ დაშვება, რომ დეფორმაციის ცვლილების ფიქსირება აუცილებელია მეორეული საზომი აპარატურის საშუალებით მაშინ, როცა სხვაობა ორ მიმდევრო გაზომვებს შორის არის $0,5 \cdot 10^{-4}$.

ფიქსირდება რა დეფორმაციის ცვლილება დროში, შეძლება ავსავთ მათი განაწილების კანონი.

მოცემული ამოცანის ამოხსნის დროს განხილული იყო დიდი რაოდენობის საზომი გარდაქმნელების ჩვენებები. შესაბამისი საზომი წერტილები იმყოფებოდნენ როგორც ზედაპირებზე, ასევე ნაგებობების შინაგან ზონაში. მათი განმასხვავებელი ნიშანი იყო არა მარტო გეომეტრიული განლაგება ნაგებობების სხეულში, არამედ ხშირად არსებითი განსხვავება ბეტონის თერმორეგულირების პროექტის მოთხოვნილებების დაცვის ხარისხის მიხედვით, მისი სიმტკიცური დეფორმაციული თვისებების ფორმირებით და ა.შ. მითითებული უმრავლესობიდან განხილულია მ საზომი გარდაქმნელი / სგ /, რომლებიც განლაგებული არიან კაშხლის ზედაპირებზე და რომლებზედ შეიმჩნეოდა ცვლილებები.

დროში ცვლილებების კანონის განაწილების შემოწმებამ გვაჩვენა, რომ შეიძლება მისი აპროქსიმირება ვიბულ-გნედენკოს ორპარამეტრიანი განაწილების კანონით. განაწილების კანონის პარამეტრების შესაფასებლად გამოიყენება კვანტილიებისა და მომენტების მეთოდი.

დაკვირვების სიხშირის დაწესების ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენება ბარლოუ-პროშანის მეთოდი /79, 126/.

ყველა ცვლილების ფიქსაციის ღირებულება აღვნიშნოთ C_1 . ვთქვათ, ცვლილების ფიქსაცია K სრულდება t მომენტში. დავუშვათ, რომ ცვლილებები მოხდა t დროის განმავლობაში, რომლის დროსაც


$$x_K < t < x_{K+1} \quad /1.7/$$

ცვლილების არგამოვლინების ღირებულება დროში აღვნიშნოთ C_2 . მაშინ ცვლილების გამოვლინების საერთო ხარჯები შეადგენენ



$$(K+1) C_1 + (x_{K+1} - t) C_2 \quad /1.8/$$

ხოლო საშუალო დანაკარგები



$$E = \sum_{K=0}^{\infty} \int_{x_K}^{x_{K+1}} [C_1(K+1) + C_2(x_{K+1} - t)] dF(t) \quad /1.9/$$





ნახ. 1.2. ბეტონის ფართობითი დეფორმაციების ცვლილება თაღვან /ა/ და კონსოლურ /ბ/ მიმართულებებში გამყარების საფეხის პერიოდში.



ნახ. 1.3. ბეტონის ვარდობითი დეფორმაციების ცვლილება თაღოვან /ა/ და კონსოლურ /ბ/ მიმართულებებში ღრობი.



ნახ. 1.4. ბეტონის ვარდობითი დეფორმაციების ცვლილება თაღვან /ა/ და კონსოლურ /ბ/ მიმართულებებში გამყარების საწყის პერიოდში



ნახ. 1.5. ბეტონის ფარდობითი დეფორმაციების ცვლილება თაღოვან /ა/ და კონსოლურ /ბ/ მიმართულებებში დროში

სადაც $F(x)$ ცვლილების დროში განაწილების ფუნქციაა.

იმისათვის რომ ცვლილების ფიქსაციის სიხშირე x_k იყოს ოპტი-

მალური, აუცილებელია პირობა, რათა ყველა k

$$\frac{\partial E}{\partial x_k} = 0$$

ამიტომ

$$x_{k+1} - x_k = \frac{F(x_k) - F(x_{k-1})}{f(x_k)} - \frac{C_1}{C_2} \quad /1.10/$$

სადაც $f(x_k)$ არის დასაკვირვებელი სიდიდის ცვლილების სიმკვრივე დროში.

x_k თანამიმდევრობა განისაზღვრება რეკურენტულად, თუკი ავირჩევთ

x_1 $\frac{C_1}{C_2}$ ფართობა, ჩვენ შემთხვევაში, უნდა მივლოთ ნულთან ძალიან ახლოს, რადგანაც შემოწმების ღირებულება გაცილებთ იაფია, ვიდრე აღმორჩენილი ცვლილებისა, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით /მაგალითად, ბეტონის ბლოკში ბზარების გაჩენა და სხვა/.

1.2. ცხრილში მოცემულია ცვლილებების განაწილების კანონები ~~შეესაბამება~~ /1.10/ ფორმულის ამოხსნის შედეგად $\frac{C_1}{C_2} = 0$ დაშვებისას განსაზღვრულია ცვლილების ფიქსაციის სიხშირეები, რომლებიც მოტანილია 1.3. ცხრილში.

მიღებული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საწყის ეტაპზე ცვლილების ფიქსირება აუცილებელია გახშირებული გრაფიკით. შემდეგში ფიქსაციებს შორის ინტერვალები იზრდებიან. ამის გარდა, გამოკვლევის სხვადასხვა ეტაპზე ფიქსაციის სიხშირე სხვადასხვა უნდა იყოს.

განვიხილოთ უბანი, რომელზედაც უნდა ჩატარდეს ნაგებობის დაბა-ბულ-დეფორმირებულ მდგომარეობის გაწმენკები, დაწყებული 30 დღე-ღამი-დან. როგორც დროში ცვლილების განაწილების კანონის შესწავლამ დაგვა-ნახა, მოცემულ ეტაპზე შეიძლება მისი აპროქსიმირება ექსპონენციალური კანონით

$$F(x) = 1 - e^{-\lambda(x)}$$

1.4. ცხრილზე მოტანილია დასაკვირვებელი პროცესის ცვლილების ფიქსაციის გრაფიკი 30 დღე-ღამის შემდეგ.

ასეთი ამოხსნა უფლებას იძლევა დასაბუთებლად დავადგინოთ სხვადასხვა ეტაპზე ნატურული გამოკვლევების სიხშირე.

დაკვირვებების არჩეული ოპტიმალური გეგმა უზრუნველყოფს, ნატურული დაკვირვებების მანძილზე შედარებით სარწმუნო ინფორმაციის მიღებას და დასაკვირვებელი პროცესის ყველა შესაძლებელი ცვლილების ფიქსაციის-დიდ ალბათობას.

შემოთავაზებული მეოთხედი გამოიყენებოდა ენგურის თაღვანი კაშხალის ნატურული გამოკვლევების დროს. აღნიშნული მეოთხედი საფუძველზე შედგენილი იყო გამზომი სისტემიდან ანთვლების აღების დამახასიათებელი გრაფიკები, რომლებიც განლაგებულნი არიან ქვედა პორიზონტებზე.

კაშხალის ზედა პორიზონტების ყველა ზონისათვის შერჩეული იყო ნაგებობის დაბალ წერტილებზე დასაკვირვებელი გრაფიკების მახასიათებელი სიხშირეები.

დამუშავებული მეოთხედი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ობიექტებზე, საცდელ ბლოკებზე დაკვირვების მახასიათებელი სიხშირეების დასადგენად.

მეოთხედი ასევე უშვებს სტატისტიკური მოდელირების გამოყენებას, ცვლილებების განაწილების კანონის დაუდგენლობის შემთხვევაში.

ცვლილებების განაწილების კანონი ზოგიერთ

გამზომი წერტილები სათქმის



გამზომი სისტემის ნომერი	ადგილსამყოფელი სექციები/ღონე/	განაწილების კანონი
18	18/311	$1 - e^{-0,011t^{0,569}}$
35	18/343	$1 - e^{-0,004t^{-0,448}}$
50	18/393	$1 - e^{-0,0089t^{-0,482}}$
58	18/443	$1 - e^{-0,0023t^{-0,591}}$
95	18/485	$1 - \exp(-0,013t^{-0,379})$
29	12/343	$1 - \exp(-0,025t^{-0,724})$
20	26/343	$1 - \exp(-0,512t^{-0,015})$
25	26/393	$1 - \exp(-0,003t^{0,582})$

30 დღე-ღამის განმავლობაში ზოგიერთი გამზომი წერტილისათვის

დასაკვირვებელი პროცესს ცვლილების ფიქსაციის ოპტიმალური გრაფიკი

სს. 1.3.

გამზომი სისტემის ნომერი	გაზომვის ფიქსაციის სიხშირე „გრაფიკი“
18	5,0; 14,3; 26,2/ 39,2; 53,4; 69,6; 88,1; 108,9; 131,6; 161,6; 193,2; 228,5; 265,9; 395,9; 348,8; 394,9; 508,7; 572,2; 642,2; 722,2;
35	4,0; 15,0; 31,1; 51,1; 76,1; 101,9; 133,8; 167,2; 206,1; 249,9; 292,7; 342,7; 397,2; 467,0; 545,0; 628,0; 706,0; 791,0
50	4,0; 16,7; 31,8; 51,0; 77,7; 107,0; 138,0; 176,0; 219,0; 269,0; 323,0; 377,0; 437,0; 503,0; 577,0; 655,0; 740,0;

1.4. ცხრილი

30 დღე-ღამის განმავლობაში ზოგიერთი გამზომი წერტილი-
საფრის დასაკვირვებელი პროცესის ცვლელების ფქსაციის
ოპტიმალური გრაფიკი

გამზომი სისტემის ნომერი	გამომვის ფქსაციის სიხშირე						„ზრავი“
18	1087	1452	1817	2182	2647	2912	
35	1141	1491	1841	2191	2641	2891	
50	1120	1490	1860	2230	2600	2970	

2. გამზომი სისტემების რაციონალური განაწილება ბეტონის კაშხლებში

2.1. შვეულების რაციონალური განაწილება ბეტონის კაშხლებში

თაღვან კაშხლების ჰორიზონტალური გადაადგილებების შესწავლა მთელ მის სიმაღლეზე ნაგებობის ქცევის შესწავლის საშუალებას იძლევიან. გადაადგილებებზე დაკვირვებები მიმდინარეობს შვეულების საშუალებით, რომლებსაც განალაგებენ ძირითად კვეთში და მაქსიმალური კვეთებში. მაღალი კაშხლების კონსტრუქციული თავისებურების გამო ხშირად არ ხერხდება შვეულის ერთ შვეულ ხაზზე დაყენება. ამიტომ მათ ჯგუფებად ანაწილებენ ვერტიკალურ კვეთებში, რომლებიც გადიან სათვალერებელ გაღერებაზე და შტოლნებზე 30-50მ ბიჯით. შვეულების ან ჯგუფის მონაცემებით ფიქსირდება კონსოლების ჰორიზონტალური გადაადგილება და იგება შესაბამისი ეპიურები.

აღნიშნული ბიჯის /30-50მ/ ამორჩევა განისაზღვრება დამპროექტებლის გამოცდილებით და მნიშვნელოვან წილად ატარებს ნებოწყობლობით ხასიათს.

აღნიშნული ამოცანის ამოსახსნელად ჩვენ ვისარგებლეთ ენგურის კაშხლის ჰორიზონტალური გადაადგილების დაკვირვების გამოცდილებით და აგრეთვე სტატისტიკური მეთოდებით, ბარლოუ-ჰანტერ-პროშანის /I26/ მათემატიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ჩვენს მიერ აღწერეს გამოყენებული წინა თავში მოცემული ამოცანის ამოსახსნელად და უფრო ადრე კაშხლების ინსპექტირების ოპტიმალური სტრატეგიის აღნიშვნის ამოცანის ამოსახსნის დროს /70/. 1983-1986 წწ. განმავლობაში შვეულების მარკვენებლები /ნახ.2.1./ ფიქსირდებოდა კონსოლების ჰორიზონტალური გადაადგილების ცვლილების სიხშირე არა უმეტეს 28მ-სა და დატანილი იყო 2.1 ცხრილში, ღონიდან კაშხლის ფუძისკენ 240მ დაშორების მიხედვით.

ამის შემდეგ ვაგებდით გაზომვების შედეგების შესაბამის განაწილების სიხშირულ მრუდეებს /ექსპერიმენტალური და თეორიული/, რისთვისაც განაზღვრავდით ჰორიზონტალური გადაადგილების ცვლილების სიხშირეს ათი მეტრის სიგრძის უბანზე.


$$y_k = \frac{n_k}{0,1n_k} \quad (k=1..N, N=6)$$

/2.1/


სადაც n_k არის გადაადგილების ცვლილების აბსოლუტური სიხშირე
 k_k არის კონსოლის მიმდინარე კოორდინატა, რომელიც აივლებება
 ღონიდან 240მ.

ტაბ. 2.1

შვეულის საპროექტო ნომერი	ღონე	გადაადგილების ცვლილების აბ- სოლუტური სიხშირე	კონსოლის მიმდინარე კოორდინატა
18 პ07-5	240	157	0
18 პ07-4	210	159	30
18 პ07-3	162	138	78
18 პ07-2	120	96	120
18 პ07-1	75	49	165
სრც-2	25	10	215



ნახ. 2.1. ენგურტვისის თაღვანი კაშხლის ძირითადი კონსოლების კვეთში შვეულების განლაგების სქემა



ამის შემდეგ იმავე უბნებზე აღგენდნენ ექსპერიმენტული ფარდობით სიხშირებს

$$P_k = \frac{\nu_k}{\sum_{i=1}^n \nu_i} \quad /2.2/$$

დისპერსია განისაზღვრებოდა ფორმულით

$$\sigma = \sqrt{\sum_{j=1}^n P_j \hat{L}_j^2} \quad /2.3/$$

სადაც P_j არის გადაადგილების ცვლილების ფარდობითი სიხშირე

L_j არის j - უბნის შუაგულის კოორდინატა $L_j = \frac{1}{2} (L_{j-1} + L_j + 1)$

გაანგარიშების მონაცემებით აგებულ იქნა გადაადგილების ნახტომის ექსპერიმენტი განაწილების სიხშირის მრუდი და შეუპირისპირდა განაწილების ცალმხრივი წორმალური კანონის მრუდს. [14, 26, 33, 71, 73, 94, 96, 131, 148+150, 163]

განაწილების ცალმხრივი წორმალური კანონის მრუდი შეიძლება იყოს წარმოდგენილი განაწილების სიმკვრივის ფორმულით

$$f(L_j) = \sqrt{\frac{2}{\pi \sigma^2}} e^{-\frac{L_j^2}{2\sigma^2}} \quad /2.4/$$

ცნობილია რა L_j და σ სიდიდეები, გამოიანგარიშება განაწილების სიმკვრივე $f(L_j)$ ხოლო შემდეგ თანაფარდობიდან


$$\tilde{P}_j = \frac{f(L_j)}{\sum_{j=1}^n f(L_j)} \quad /2.5/$$

გადაადგილების თეორიული ფარდობითი სიხშირული "ნახტომები".

ამრიგად, მიღებული ექსპერიმენტული და თეორიული არიან პორიონტალური, ნახტომებისათვის ფარდობითი სიხშირეები. ისინი გამოსახული არიან პროცენტებში და ქვემოთ არიან მოყვანილი:

$P_j \%$	8,6	5,4	5,3	3,5	1,6
$\bar{P}_j \%$	7,4	6,6	5,1	3,5	0,75

ორდინატების ღერძზე გადაზომავენ გადაადგილების "ნახტომების" ფარდობით სიხშირეებს პროცენტებში, ხოლო აბსცისის ღერძზე მანძილს მეტრებში და ზემოთ მოყვანილი მონაცემების გამოყენებით ცხრილზე დაგვაქს ექსპერიმენტული /-/ და თეორიული /-/ სიხშირული მრუდის წერტილები /ნახ. 2.2/ აგებული მრუდები თვალნათლივ გვიჩვენებენ ექსპერიმენტული და თეორიული სიხშირული მახასიათებლების სიახლოვეს გადაადგილების "ნახტომებისათვის". ამგვარად, კაშხალის სიმადლეზე პორიონტალური გადაადგილების "ნახტომების" სიხშირეები შეიძლება აპროქსიმირდნენ განაწილების ცალმხრივი ნორმალური კანონით.



ნახ. 2.2. ბირითადი კონსოლების ჰორიზონტალური გადაადგილების გაზომვების შედეგების თეორიული /1/ და ექსპერიმენტული /2/ განაწილების მრუდები



განაწილების დადგენილი კანონის მიხედვით შეიძლება ამოცხსნა ნაგებობაში შვეულების რაციონალური განაწილების ამოცანა, ბარლო-ჰანტერ-პროშანის /126/, მოდელი ნაგებობების უავარიოდ მუშაობის სისხშირული მახასიათებლების ბაზაზე ეკონომიური კრიტერიუმის გამოყენება საშუალებას იძლევა აგრეთვე შვეულების ვერტიკალური კოორდინატების მანამიმდევრობის მიღება, რომელიც აფიქსირებს მათ განლაგებას.

$$x_{k+1} - x_k = \frac{F(x_k) - F(x_{k-1})}{f(x_k)} - \frac{c_1}{c_2} \quad /2.6/$$

სადაც c_1 - არის ერთი გამზომი სისტემის /შვეულას/ ღირებულება.

c_2 - არის კაშხალის მუშაობის მტყუნების აღმოუჩინებლობის ღირებულება, რომელიც მოდის 16 სიგრძეზე.

$F(x)$ - არის კაშხალის უავარიოდ მუშაობის განაწილების ფუნქცია.

$f(x)$ - არის კაშხალის უავარიოდ მუშაობის აღბათობის სიმკვრივე, რომელიც პირიზონტალური გადაადგილების ცვლილების სიხშირის პისტოგრამის ინტერპოლაციის გზით მიიღება.

x_k - არის გაზომვის სისტემის /შვეულების/ განლაგების მიმდინარე კოორდინატა.

/2.6./ ფორმულის პრაქტიკული გამოყენება ვარაუდობს ფიზიკური ხასიათის მოსაზრებების საფუძველზე, x_0 და x_1 კოორდინატების შერჩევას.

მანამიმდევრობა განისაზღვრება რეკურენტულად $\frac{c_1}{c_2} = 0$ რადგანაც $c_1 \ll c_2$

რამდენადაც $f(x)$ აღბათობის სიმკვრივე საკმაოდ კარგად ინტერპოლირდება განაწილების ცალმხრივი ნორმალური კანონით, $F(x)$ განაწილების ფუნქცია შეიძლება გამოვსახოთ ლაპლასის $\varphi(x)$ ფუნქციით. ზუსტად $\frac{c_1}{c_2} \approx 0$ და მათემატიკური გარდაქმნების შემდეგ /2.6/ ფორმულა შეიძლება ჩაწვიროთ ასეთი სახით

$$x_{k+1} = x_k + \frac{\varphi(z_k) - \varphi(z_{k-1})}{f(z_k)} \quad /2.7./$$

სადაც

$$f_k = \frac{x_k}{S}$$

როგორც აღნიშნული იყო, რეკურენტული ფორმულით /2.6/ სარგებლობისათვის აუცილებელია ორი საწყისი პირობა. ამ პირობების შესაბამისად შევირჩიოთ კოორდინატები x_0 და x_1 თავდაპირველად ავირჩიოთ ნებისმიერად, საბოლოოდ შევირჩედოთ ასეთ მნიშვნელობაზე, რომლის დროსაც Δx_k "ფუნქცია" საკმაოდ ჩქარა იღებს სტაციონალურ ხასიათს /ანუ აღარ არის დამოკიდებული -ზე/.


2.3. ნახ-ზე გამოსახულია Δx_k მრუდების ოჯახი, რომლებიც განსაზღვრულია x_1 პარამეტრით.

საუკეთესო შემთხვევაში მითითებულ პირობას აკმაყოფილებს $x_1 = 50$ მ. მნიშვნელობა. სწორედ ეს მნიშვნელობა იყო გამოყენებული /2.7/ ფორმულაში, რომლის მიწვევებითაც შედგენილია 2.2. ცხრილი.

ამ ცხრილში დატანილია თაღოვანი კაშხალის ძირითად კონსოლში შვეულღების რაციონალური განაწილების გამომანგარიშების შედეგები.

2.2. ცხრილი

კონსოლის უბანი	x_k, m	f_k	Z_k	$f(Z_k)$	$\Phi(Z_k)$	$x_k = x_{k+1} - x_k$
1	50	0,46	0,33	0,38	0,37	
2	101,8	0,95	0,67	0,29	0,67	51,8
3	157,8	1,42	0,1	0,15	0,84	56,0
4	218 6					60,8



46

ნახ. 23. შვეულბურის რადიონალური განაწილების გრაფიკი
-ს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის

1. 650, 2. 600, 3. 550, 4. 500, 5. 450.

თუკი ზღა კოორდინატებიდან გადავალთ ღონეებზე, მივიღებთ, რომ კაშხლის სხეულში არსებული სწორი შვეულები უნდა განლაგდეს 240, 190, 138, 2 და 11,4მ ღონეებზე. სულ დასჭირდება 4 შვეული, ანუ ერთი ერთეული ნაკლები, ვიდრე ძირითად კონსოლებში.

უნდა განიმარტოს, რომ შექცეული შვეულია, რომლის მიმართაც ტარდება დაკვირვებები, და ყენდება 50მ სიღრმის ჭაში.

2.2. ტენზომეტრული როზეტების რაციონალური განლაგება გიტონის კაშხალში


კაშხლის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის დაკვირვებისათვის განკუთვნილი ტენზომეტრული როზეტების /ტ.ხ./ რაოდენობა და დანადგარის ადგილი ინიშნება თეორიული და მოდელური გამოკვლევების საფუძველზე.

კაშხალში გამოზომი სისტემების რაციონალური განაწილება, განაპირობებენ ნატურული დაკვირვებების ღირებულების შემცირების და ამავდროულად, ნაკლებობის სტატისტიკურ მდგომარეობაზე იძლევიან მაქსიმალურ ინფორმაციას.

გავაანალიზოთ ტენზომეტრული როზეტების განლაგება, რომლებიც დაყენებული არიან ენგურჭესის კაშხლის თაღის ზედა ზედაპირიდან 1მ-ის მანძილზე, 203 მ-ის ღონეზე /ნახ. №2.4. 4, 7, 12, 18, 26, 32, 37 სექციებში და კაშხლის მარცხენა გვერდიდან დაშორებულები, შესაბამისად 25, 83/77; 162, 3/262, 6; 395, 5; 497, 6; 583, 2მ. და მდლიანი თაღის 626, 5მ-ის სიგრძეზე.

თავდაპირველად განვსაზღვროთ თაღში ძაბვის სიბშირული მახასიათებლების ცვლილება არანაკლებ 0,5 მპა ტენზომეტრული როზეტების მარცხენა-ღობის მიხედვით ტრ. №75, 69, 66, 60, 63, 72 და 78, 1983-დან 1986 წლის მანძილზე.

ამის შემდეგ ავაგოთ თაღის ძაბვის გაზომვის შედეგების ექსპერიმენტული და თეორიული განაწილების წირები /მრულები/ და განსაზღვროთ მათი სიბშირის მახასიათებლები. გამოსახულებიდან დავადგინოთ ძაბვის ცვალებების ფარდობითი ექსპერიმენტალური სიბშირე.



ნახ. 2.4. 2038-ის დონეზე, მაღოვანი კაშხლის პორიზონტალურ კვეთში ტენზომეტრული როზეტების განლაგების სქემა

$$y_i = \frac{n_i}{\sum_{j=1}^n n_j}$$

სადაც n_j - არის თაღში ძაბვის სიხშირის ცვლილება უბნებზე.

N - არის უბნების რაოდენობა.

ძაბვის ფარდობითის თეორიული სიხშირის ცვალებების გამოთვლიან შემდეგი ფორმულით

$$\tilde{w}_i = \frac{\omega_i}{\sum_{j=1}^n \omega_j} \quad /2.9/$$

სადაც $\omega_i = \omega(x)$ არის განაწილების ინტერპოლაციური სიმკვრივე, რომელიც ექვემდებარება ნორმალურ კანონს

$$\omega(x) = \frac{1}{\sigma\sqrt{2\pi}} e^{-\frac{(x-\bar{x})^2}{2\sigma^2}} \quad /2.10/$$

\bar{x} - არის შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი

σ - არის შემთხვევითი სიდიდის საშუალო კვადრატული გადახრა.

თაღში ძაბვის ექსპერიმენტული და თეორიული სიხშირეების ნაპოვნი მნიშვნელობები 2.3. ცხრილშია დაყვანილი.

ცხრილი 2.3.

თაღის უბანი	სექცია	ნ რ- ზეტის	მანძილი მარჯვენა ნაპირიდან, მ.	n	y %	ω %
1	4	75	25,8	19	6,64	4,68
2	7	69	77,0	21	7,34	12,55
3	12	66	162,3	65	22,72	22,55
4	18	60	262,6	74	25,90	27,02
5	26	63	395,5	50	17,48	21,48
6	32	72	497,6	35	12,23	11,38
7	37	78	583,2	22	7,69	0,32



ექსპერიმენტული და თეორიული განაწილების წირის /მრუდის/ გაანგარიშების შედეგები გრაფიკულად ნაჩვენებია 2.5 ნახ-ზე.

მიუხედავად $s \sqrt{i}$ და $\lambda(i)$ ფუნქციების წერტილოვან დაშორებლსა, მათი ინტეგრალური მახასიათებლები, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა ხლომილებების აღბათობას, პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევიან.

ახლა დავაწესოთ გაზომვის სისტემებს შორის რაციონალური მანძილი. ამისათვის ვისარგებლებთ მათემატიკური მოდელით /2.6/

$$x_{c+1} = x_c + \frac{F(x_c) - F(x_{c-1})}{f(x_c)} - \frac{C_1}{C_2}$$

რადგანაც $f(x)$ აღბათობის სიმკვერივე ექვემდებარება გაუსის განაწილების ნორმალურ კანონს, განაწილების $F(x)$ ფუნქცია შეიძლება გამოვხატოთ ლაპლასის $\Phi(x)$ ფუნქციით, /2.6./ გამოსახულება მიიღებს შემდეგი სახე


$$x_{c+1} = x_c + \frac{\sigma}{2} \frac{\Phi(z_c) - \Phi(z_{c-1})}{f(z_c)} - \frac{C_1}{C_2} \quad /2.11/$$

სადაც $z_c = \frac{x_c - \bar{x}}{\sigma}$ $z_{c-1} = \frac{z_c}{\sigma \sqrt{2}}$ $\sigma = \frac{\sqrt{\sum_{i=1}^N (x_i - \bar{x})^2}}{N-1}$ $\frac{C_1}{C_2} \approx 0$


N - არის უბნების რაოდენობა

ავარჩიოთ თანმიმდევრული მნიშვნელობები $x_c = 120, 115, 110, 105, 100$, რომლებიც აკმაყოფილებენ /2.11/ მათემატიკურ მოდელს $x_1 = 0$ -ის დროს და რეკურენტული პროცედურების საშუალებით განვსაზღვროთ შესაბამისი ფუნქციები და ავაგოთ მრუდები.

2.6. ნახ-ზე გამოსახული მრუდების ოჯახიდან ვირჩევთ იმას, რომელსაც გააჩნია უფრო სტაციონალური ხასიათი. ეს ის მრუდი იქნება, რომლის ფუნქციები მიღებულია $x_1 = 105$ -ის დროს.



ნახ. 2.5. 2108-ის დონეზე კვეთში კაშხლის თაღში ძვლებების
 განაწილების მონაცემები, თეორიული /1/ და ექსპერიმენტალური /2/



ნახ. 2.6. ტენზომეტრული რეზულტების რაციონალური განლაგების დამოკიდებულების
გრაფიკი სხვადასხვა მნიშვნელობის ათვის:

1 12m, 2. 11.5; 3. 11.0; 4. 10.5; 5. 10.0.

201 მ-ის დონეზე კაშხალის საზომ კვეთში ტენზომეტრული როზეტების რაციონალური განაწილების გაანგარიშების შედეგები 2,4 ცხრილშია მოტანილი

ცხრილი 2/4.

თალის უბანი	ქ _{კმ}	შ _კ	ჯ _კ	ქ(შ _კ)	ფ(ჯ _კ)	ს _კ = შ _{კ+1} - - შ _კ
1	105,0	-0,85	-0,60	-0,28	-0,60	
2	188,7	-0,46	-0,32	-0,36	-0,33	83,7
3	268,7	-0,08	-0,06	-0,40	-0,05	80,0
4	343,3	0,27	0,19	0,38	0,22	74,6
5	419,0	0,62	0,44	0,33	0,47	75,7
6	499,8					

ამ ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ პირველი ტენზომეტრული როზეტი ენგურის თალური კოშკისათვის 203 მ-ის დონეზე უფრო რაციონალური იქნებოდა, თუკი განლაგდებოდა კაშხალის მარჯვენა ნაპირის ბოლოდან 105 მ-ის მანძილზე, ხოლო მომდევნოები 83,7; 80,0; 74,6; 75,7; 88,8 მ-ის შემდეგ, რაც შეესაბამება კაშხლის 9, 13, 19, 23, 28 და 33 სექციებს.

გამზომი სისტემების ნაგებობების სხეულში ამგვარი განლაგება, ერთ საზომ კვეთში მათი რაოდენობის შემცირებას გახდინდა შესაძლებლს.

პროექტირებადი და ახლად მშენებარე ჰიდროტექნიკური ნაგებობებისათვის გამზომი სისტემების შორის რაციონალური მანძილის დანიშნვისათვის, აუცილებელია დამუშავებული მეთოდის გამოვიყვანოთ ლაბორატორულ მოდელებზე, რომლებზედაც დატვირთვა და ზემოქმედება იქნება იმიტირებული. ამასთან, ჰორიზონტალური გადაადგილების ცვალებადობის და მათის მიხედვით, კაშხალის მოდელისთვის ვადგენ განაწილების კანონებს.

რის შემდეგაც ბარლო-ჰანტერ-პროშანის მათემატიკური მოდლის გამოყენებით, გამოომ სისტემების შორის ინიშნება ოპტიმალური მანძილი.

ენგურჰესის თაღვანი კაშხლის ნატურული დაკვირვების ბაზაზე, გამოომი სისტემების რაციონალური განაწილების შემთავაზებული მეთოდის გამოყენებით, დამუშავებული იყო რეკომენდაციები გამოომი სისტემების მოცულობისა და ნომენკლატურის დასაზუსტებლად, რომლებიც ხუთნაშესის თაღვანი კაშხლის უავარიო მუშაობის მაქსიმალური გარანტიებისათვის იყო საჭირო.



3. ზეტონის კაშხალების მდგომარეობის შეფასება ტიპიური დიაგნოსტიკის სტატისტიკური მეთოდებით

3.1. ამოცანის დასმა

გამზომი სისტემებით აღჭურვილი, მაღალი ზეტონის კაშხალების მშენებლობასთან დაკავშირებით, მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება დღიური-დღე უფრო და უფრო აქტიუალური, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. თუმცა ხანგრძლივი ექსპლუატაციის განმავლობაში, ზოგიერთი ტიპის გამზომი სისტემების საშუალებით ნაგებობების უსაფრთხოებაზე მულტივი კონტროლი არ ხერხდება ამ სისტემების პერიოდულად მწყობრიდან გამოსვლის გამო.

ენგურშესის თაღვანი კაშხლის მშენებლობისა და დროებითი ექსპლუატაციის დროს გახტარდებოდა გაზომვები პირდაპირი და შექცეული შედეგებით შემდეგი მიზეზების გამო: 1982-1983წწ განმავლობაში $\Pi 0-1$ და -თან მიდგომების უქონლობის გამო, $\text{CNC}-1, 3, 11, 29$ -თან დაზიანების გამო, 1984-1985წწ $\Pi 0-5$ თან მიდგომების უქონლობის გამო, $\text{CNC } 13, 14$ და 22 -თან დაზიანების გამო; $\text{CNC}-12$ და 15 დაზიანების გამო, ხოლო $\text{CNC}-1$ და 29 შედეგები საერთოდ განადგურდა. ანალოგიური მაგალითების მოყვანა შეიძლება ნაგებობაში ჩასადგმელი გამზომი სისტემების მიმართაც, რომელიც რემონტს და შევლას არ ექვემდებარება. 1972-1983წწ განმავლობაში კაშხალზე მწყობრიდან გამოვიდა 405 სიმური ტიპის გარდამქმნელი და 455 თერმისტორის ტიპის. ყოველწლიურად მწყობრიდან გამოსულა გამზომი სისტემების რიცხვი იზრდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი იმფორმაციის დაკარგვა. ამიტომ მნიშვნელოვანია შეფასდეს ნაგებობის საიმედოობა, როდესაც სრულიად არ არის ძირითადი პარამეტრები და არის „ირიბი“.

ტექნიკური დიაგნოსტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სისტემის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება არა საკმარისი ინფორმაციის პირობებში. ამ ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენება სახეობა გარჩევის საერთო მეთოდი /21, 57, 64, 100/.



დამუშავებული და მათემატიკურად დასაბუთებული სახეობა გარჩევის მეოთხედიდან /ტიქნიკური დიაგნოსტიკის/ ყველაზე მეტად ზოგადი და უნივერსალურია: მ.ა.აიზერმანის, ე.მ.ზრავერმანის და ლ.ი.როზონოეროვის /1/ მიერ შემოთავაზებული პოტენციალური ფუნქციების მეოთხედი.

გამოვიყენოთ ეს მეოთხედი ენგურის კაშხალის ნატურული გამოცვლებებში.

(სახეობა გარჩევის თეორიიდან პოტენციალური ფუნქციების მეოთხედი ჩვენს მიერ პირველად იყო გამოყენებული ენგურის თაღვანი კაშხალის/70/ ბეტონის ბლოკებში ნაადრევი ზზარწარმოქმნის პროგნოზირებისას.) ძირითად მაჩვენებლად ვთვლით 240 მ-ის ღონეზე ძირითადი კონსოლის პორიზონტალურ გადაადგილებას, რომელიც განსაზღვრავს ნაგებობის მდგრადობას, თუმცა მათ აღგლას შეიძლება იყოს სხვა ტიპის სააკონტროლო პარამეტრით /პიეზომეტრული დაწნევა, კონტაქტური ნაკერის გახსნა, ფილტრაციის ხარჯი, წყალსაცავის ავსების სიჩქარე/, რომლებიც საპროექტო ორგანიზაციების მიერ ინიშნებიან. ირიბი მაჩვენებლები კი არიან ბეტონში თაღური და კონსოლური ძაბვები, სექციათშორისო ნაკერების გახსნა და ტემპერატურა ბეტონში.

3.2. ამოხანის ამოხანის აღგორიში და პროგრამა


სახეობა გარჩევის თეორიის პოტენციალობის მეოთხედის გამოთვლით მარე გაშუქებულია [1]

დავუშვათ, რომ ჩვენ გვაქვს შემდეგი ამოსავალი ინფორმაცია:

1. ძირითადი მაჩვენებლის მნიშვნელობების $P_i, i=1, 2, \dots, N$

სადაც i არის გაზომვის ნომერი, N - არის მათი რაოდენობა დაკარგულია $(N+1) - l$ მაჩვენებლის გაზომვა;

2. $P_{სადაც}$ არის ძირითადი მაჩვენებლის რაღაც მნიშვნელობა, რომელიც საზღვრისაა მიღებული; იგი ინიშნება საპროექტო ორგანიზაციის მიერ და გადაეცემა საექსპლუატაციო სამსახურს;



3. ირბი არა პირდაპირი მარცენებლების მნიშვნელობები $(i=1,2,\dots,N)$ სადაც K არის ირბი/თანმხლები/ მარცენებლის ნომერი.

K_{max} - არის მათი რაოდენობა $N+1$ - არის ირბი მარცენებლების გაზომვების რაოდენობა,

4. α, γ, ρ_i $(i = 1, 2, \dots, N+1)$ - ე.წ.

გამრჩევი ფუნქციის ოპტიმატიზაციის პარამეტრები /იხ. ქვემოთ/,
პირველ მიახლოებაში რეკომენდირებულია ავიღოთ $\rho_i = 1$ $\alpha = 3$ $\gamma = 4$

ჩვენს შემთხვევაში ამოცანის ამოხსნა დავიყვანება გამოკვლევამდე: გადამეტდება თუ არა დაკარგული $N+1$ გაზომვის სიდიდე ნაგებობების მდგომარეობის სასაზღვრო მნიშვნელობას P საზღვრ. მარცენებელს, ანუ სამართლიანია თუ არა უტოლობა P საზღვრ. $> P_i$

განსაზღვროთ \bar{x} საშუალო მნიშვნელობა და ყოველი ირბი მარცენებლის და საშუალო კვადრატული გადახრა s_k

$$x_k = \frac{1}{N} \sum_{i=1}^N x_{ki} \quad P_k = \frac{1}{N-1} \sum_{i=1}^N (x_{ki} - \bar{x})^2 \quad s_k = \sqrt{D_k} \quad /3.1/$$

სადაც $K=1, 2, \dots, K_{max}$

ყურადღება იმას უნდა მივაქციოთ, რომ \bar{x}_k s_k სიდიდეები იმყოფებიან N /და არა $N+1$ / ირბი მარცენებლების გაზომვებთან.

განვსაზღვროთ ნორმირებული ირბი მარცენებლები გაზომვებისათვის $i=1, N+1$

$$x_{kj} = \frac{x_{ki}}{s_k} \quad /3.2/$$

სადაც $K=1, 2, \dots, K_{max}$ $i=1, 2, \dots, N, N+1$

და ე.წ. i და j გაზომვების შორის მანძილი „ R_{ij} ”

$$R_{ij} = \sqrt{\sum_{k=1}^N (x_{ki} - x_{kj})^2} \quad /3.3/$$

სადაც $i=1, 2, \dots, N+1$ $j=1, 2, \dots, N+1$



ვიპოვოთ პირობითი პოტენციალები მიღებულ

მუხტით

წი რტირში

$$\varphi_{ij} = \begin{cases} 0 & i=j \\ q_i [1 + \alpha R_{ij}^{-1}]^{-1} \delta_{სასაზღ} & i \neq j \end{cases} \quad /3.4./$$

სადაც $\delta_{სასაზღ} = \begin{cases} 1 & p \text{ საზღვრ.დროს } > P_i \quad i=1, 2, \dots, N+1 \\ -1 & p \text{ საზღვრ.დროს } < P_j \quad j=1, 2, \dots, N+1 \end{cases}$

ჩავაწეროთ გამრჩევი ფუნქცია

$$\psi_j = \sum_{i=1}^N \varphi_{ij} \quad /3.5/$$

რომლის დროსაც უნდა შესრულდეს ნიშნების შემდეგი კანონი

$$P_j < P_{სასაზღ} \quad \psi_j > 0$$

$$P_j > P_{სასაზღ} \quad \psi_j < 0$$

/3.6/

გამრჩევი ფუნქციის პირველი მნიშვნელობები მეთოდის შემოწმების საშუალებას იძლევა, ანუ შემოწმდეს: შეესაბამებიან თუ არა $\text{sign}(\psi)$

ნიშნები P_j მაჩვენებლის მნიშვნელობებს, თუ მითაღებული ნიშნების წესი ირღვევა, საჭიროა α, ν, q_i პარამეტრებით ვარიირება მანამ, სანამ არ მიიღწევა შესაბამისობა $\text{sign}(\psi_j)$ ნიშნებსა და P_j მაჩვენებლის მნიშვნელობებს შორის.

როდესაც ნიშნების წესი სრულდება გამრჩევი ფუნქციის პირველი მნიშვნელობისათვის, $\text{sign} \psi_{N+1}$ ნიშანი აძლევს ინფორმაციას იმის შესახებ,

სრულდება თუ არა ტოლობა $P_{N+1} < P_{სასაზღ}$

$$\text{sign}(\psi_{N+1}) > 0 \quad P_{N+1} < P_{სასაზღ}$$

$$\text{sign}(\psi_{N+1}) < 0 \quad P_{N+1} > P_{სასაზღ}$$

/3.7./

აღგორითმი რეალიზებულია ეცმ-ის პროგრამის სახით. 3.1. ცხრილში მოცემულია გაბტმეების მნიშვნელობები, რომლებიც ჩატარებულია 1985-1986წწ



ენგურჰესის თალოვანი კაშხლის ძირითად კვეთში 240 მ ღონეზე /31,5მ-ით კაშხლის თხემს ქვემოთ/ ამისათვის გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: $\bar{n}_{\alpha_1}, \bar{n}_{\alpha_2}, \bar{n}_{\kappa_1}, \bar{n}_{\kappa_2}$ - თალოვანი და კონსოლური ძაბვები. (მპ), 18 მანძილზე კაშხლის ზედა და ქვედა ზედაპირიდან $\bar{\epsilon}_{17_1}, \bar{\epsilon}_{17_2}, \bar{\epsilon}_{18_1}$ და $\bar{\epsilon}_{18}$ - 17 და 18 სექციითაშორისი ნაკერების გახსნა მმ-ში, 18 მანძილზე კაშხლის ზედა და ქვედა ზედაპირებიდან T_1 და T_2 - ბეტონის ტემპერატურა 0° 1 მ-ის მანძილზე კაშხლის ზედა და ქვედა ზედაპირიდან

L - კონსოლის პორიზონტალური გადაადგილება, მმ.

10.07.1986წ გაზომილი, 94მმ-ის ტოლი გადაადგილება, გამოყენებული იყო, როგორც საკონტროლო.

ხოლო გადაადგილებები, რომლებიც შესაბამებოდნენ გაზომვის თარიღებს 15.06.1985წ, 1.03 და 5.06.1986 წლებიდან არ იყვნენ დაფიქსირებული საზომი სისტემის მიუწოდომლობის გამო.

ამიტომ მათი მნიშვნელობები 3.1 ცხრილში არ არის მოცემული.

აუცილებელია დავადგინოთ, ამტბებენ თუ არა გაუზომავი გადაადგილებები L საზღვ. - 103მმ /მოცემული მნიშვნელობის ამორჩევას აქვს რამდენიმე პირობითი ხასიათი/.

პროგრამის ბაზაზე მიღებულია გამრჩევი ფუნქციის Ψ_j j -სვეტი ნომერი/ შემდეგი მნიშვნელობები;

$$\Psi_1 = 0,53 \cdot 10^{-2} \quad \Psi_2 = 0,41 \cdot 10^0 \quad \Psi_3 = 0,12 \cdot 10^1 \quad \Psi_4 = 0,10 \cdot 10^1 \quad \Psi_5 = 0,35 \cdot 10^{-1}$$

$$\Psi_6 = -0,72 \cdot 10^0 \quad \Psi_7 = -0,75 \cdot 10^0 \quad \Psi_8 = -0,19 \cdot 10^0 \quad \Psi_9 = -0,18 \cdot 10^0 \quad \Psi_{10} = -0,14 \cdot 10^{-1}$$

$$\Psi_{11} = 0,44 \cdot 10^{-3} \quad \Psi_{12} = 0,33 \cdot 10^{-2} \quad \Psi_{13} = 0,35 \cdot 10^{-3} \quad \Psi_{14} = 0,13 \cdot 10^{-1}$$

Ψ_j გამრჩევი ფუნქციის მნიშვნელობების ნიშნები $/j = 1.10/$

მალიანად შესაბამებიან უტოლობებს $k_j < k_{სასაზღ} / j = 1.10/$

სახელდობრ

$$k_j < k_{სასაზღ} \quad \Psi_j > 0$$

$$k_j > k_{სასაზღ} \quad \Psi_j < 0$$

კატორღვის ნომერი და ძარილი

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ნაპრობო	25,05	15,06	20,06	23,06	25,06	1,07	5,07	15,07	20,07	15,08	10,07	15,08	1,03	5,06
ბაბა	-2,1	-3,3	-8,7	-3,8	-4,0	-4,5	-4,7	-5,8	-6,6	-6,7	-1,8	-2,6	-1,5	-3,7
ბაბა	-1,6	-2,1	-2,3	-2,5	-2,5	-3,0	-3,0	-3,3	-3,7	-4,0	-1,1	-1,7	-3,7	-2,3
£17 88	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,3	0,3	0,2
£18 88	0,4	0,4	0,4	0,4	0,4	0,3	0,3	0,3	0,3	0,2	0,5	0,4	0,5	0,2
T ₁ C	11,5	14,5	14,5	14,5	14,5	15,0	15,0	16,4	16,5	18,9	7,5	13,8	7,5	13,5
G ₂ 833	-2,2	-3,3	-3,8	-4,2	-4,4	-5,0	-5,6	-6,7	-7,0	-8,8	-2,5	-2,8	-2,9	-3,8
G ₂ 833	-2,5	-3,0	-3,1	-3,2	-3,2	-3,2	-3,2	-3,2	-3,2	-3,4	-1,7	-1,9	-1,9	-3,1
£17 88	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1
£18 88	1,2	1,2	1,2	1,2	1,1	1,1	1,1	1,1	1,1	1,1	1,1	1,2	1,1	1,2
T ₂ C	12,4	15,5	15,5	15,5	15,5	15,6	15,9	16,0	17,0	20,3	10,0	11,1	10,0	14,5
L 88	65,5	76,4	83,0	87,8	98,0	108,0	110,0	118,0	123,0	130,0				





რამდენადაც $j = 11, 12, 13, 14$ $\Psi_i > 0$ შესაბამისი გადაადგილებები

$L_{11}, L_{12}, L_{13}, L_{14}$ არ აღემატებიან მნიშვნელობას 10388 .

ნათელი რომ პროგრამის გამოყენება ხდება ბეტონის კაშხლების ტექნიკური დიაგნოსტიკის შემადგენელი ნაწილი.

ჩვენს მაგალითში ამორჩეული პორიზონტალური გადაადგილებების სასაზღვრო მნიშვნელობა არის პირობითი. მისი ნამდვილი მნიშვნელობის მიღება შესაძლებელთა თეორიული ანგარიშების ან ლაბორატორიულ მოდელებზე ისეთი დატვირთვის შექმნის გზით, რომლებიც მოდელს მიიყვანენ დაშლის წინა პერიოდამდე.

"შესასწავლი" მატრიცისათვის შეიძლება ფყოს გამოყენებული კაშხლის დაძაბულ-დეფორმირებული გამოკვლევების მონაცემები და აგრეთვე თეორიული ანგარიშები. სწორედ მათ უნდა აღწერონ შექმნილი სახე.

3.3. ნატურული დამკვირვებების მონაცემების ანალიზის მეთოდები

ნატურული გამოკვლევების შედეგების რაოდენობლივი ანალიზისათვის გამოიყენება სტატისტიკური დამუშავების სხვადასხვა ხერხი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ბეტონის კაშხლის ქვევის ხასიათი /9, 10/.

გაზომვის საშუალებით მიღებული ნატურული გამოკვლევების მონაცემები ახასიათებენ, როგორც "ნაგებობა-ფუძის" სისტემის ერთობლივ მუშაობას ასევე დეფორმაციებსა და ძაბვებს სხვადასხვა კვეთში და გაზომვის წერტილებში. ამ შედეგების მდლიანი ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ ფაქტორების დამოუკიდებელი შესწავლის დროს /ჰიდროსტატიკური დატვირთვა, ბეტონისა და გრუნტის ტემპერატურა, ტემპერატურის გრადიენტი, დაძაბვის დრო/, რომლებიც განსაზღვრავენ ნაგებობის სტატისტიკურ მდგომარეობას.



კამბალზე უშუალო გაზომვების შედეგები განპირობებულია ძირითადი ფაქტორების ჯამური გავლენით და მხოლოდ განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში იქმნება იმის საშუალება, რომ გაიზომოს საერთო გადაადგილებები, დეფორმაციები, წინვები, ნაკერების გახსნა ცალკეული ფაქტორის ზემოქმედებით. ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს აღნიშნული საკითხის შესწავლა მათემატიკური /სტატისტიკური/ მოდელირების მეთოდის ბაზზე/მ2/. მათემატიკური მოდელი გვაძლევს რაოდენობრივი და ლოგიკური ურთიერთკავშირისა და შესაბამისობის რეალური სურათის აღწერას ნაგებობების ძირითადი პარამეტრისა და მოქმედი ფაქტორების კავშირის, შეზღუდვის სისტემასა და ეფექტური კრიტერიუმის მახასიათებლებს შორის. ნაგებობების სიცოცხლეში მომხდარი ფიზიკური პროცესების მოდელირება შედგება რიგ ურთიერთდაკავშირებული ეტაპების აგან: მოდელირების ამოცანის დასმა, მათემატიკური აღწერის შედგენა, მისი ალგორითმიზაცია და პროგრამირება, მოდელის აღიკვეთლობის შემოწმება.

სტატისტიკური მოდელირების მეთოდის პრაქტიკულ საფუძველს წარმოადგენენ ერთგვაროვანი სისდიდეების ერთობლიობა, რომლებიც მიიღებიან ორგანიზებული დაკვირვების შედეგად, ხოლო მეთოდოლოგიური - ალბათობის თეორია, როგორც ამ სფეროში უმეტესი ნაშრომების განხილვამ აჩვენა, მათემატიკური მოდელის გამოსავალი პარამეტრების დროში განვითარების ანალიზისა და პროგნოზისათვის ბევრი მკვლევარი შემოიფარგლა ძირითადი ფაქტორებით: პილროსტატისტიკური დაბვირთვით, ტემპერატურით და დროსთან დაკავშირებული შეუქცევადი ცვლილებებით.

$$x = F(H, T, t) \quad /3.3.1./$$

სტატისტიკური მეთოდი /გაფლენის კოეფიციენტების მეთოდი/ საშუალებას იძლევა დადგინდეს თითოეული მოქმედი ფაქტორის გავლენა ნაგებობის ქვევაზე ნატურული გაზომვების შედეგების საფუძველზე. გაფლენის კოეფიციენტების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პარამეტრის ყველა გაზომილი მნიშვნელობა წარმოდგენილია მათემატიკურ მოდელში, სადაც შედიან ცვლადები მუდმივი კოეფიციენტებით განტოლების სისტემის ამოხსნა



საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ეს კოეფიციენტები, რომლებიც წარმოადგენენ გავლენის კოეფიციენტებს.

საწყისი მათემატიკური მოდელი შეიძლება წარმოვქმნოთ იყოს სამი დამოუკიდებელი შემადგენლისაგან

$$x_0 = U(H) + Q(T) + V(t) \quad /3.3.2./$$

სადაც x_0 - გაზომილი ჯამური სიდიდე /გადაადგილების, მავის, დეფორმაციის/

ჰიდროსტატიკური გაწნევა განისაზღვრება წყალსაცავში წყლის დონის და გამოისახება n ხარისხის პოლინომით. ენგურის კაშხლის ათვისება არჩევა შემოიფარგლა მესამე ხარისხის პოლინომით, რადგანაც გავლენის ყველა კოეფიციენტი უფრო მაღალ H ხარისხებთან, როგორც რეგრესიის განტოლებამ გვარჩენა, ნულის ტოლია

$$U(H) = \alpha_1 H + \alpha_2 H^2 + \alpha_3 H^3 \quad /3.3.3./$$

სადაც H - ჰიდროსტატიკური დატვირთვის მდგენელი

ნაგებობის პარამეტრების არაერთგვაროვანი ცვლილების აღრიცხვისათვის, მაგრამ სხვადასხვაგვარად მიმართული წყლის დონის შემთხვევაში /წყალსაცავის ავსება ან დაცლა/, შეყვანილია /3.3.3/ დამოკიდებულებაში კიდევ ერთი წევრი ΔH დაწინევიდან

$$U(H) = \alpha_1 H + \alpha_2 H^2 + \alpha_3 H^3 + \alpha_4 \Delta H \quad /3.3.4./$$

სადაც $\alpha_1, \alpha_2, \alpha_3, \alpha_4$ - ჰიდროსტატიკური დატვირთვის გავლენის კოეფიციენტი: ΔH - განსხვავებაა წყლის დონის ნიშნული ზედა ბიეფში (წ.დ.ნ) გაზომვის მომენტსა და წინა დევეში წყლის საშუალო დონეს შორის.

ტიმპერატურული ფაქტორით გამოწვეული გადაადგილების გამოსაანგარიშებლად გამოიყენება ტემპერატურის გამზომი საშუალები კაშხლის რამდენიმე პორიზონტალურ კვეთში. ითვლება რა ტემპერატურათა ველი ერთგანზომილებიანად და ბრტყელი კვეთის შიპოთებიდან გამომდინარე, ტემპერატურული



გადაადგილები, შეიძლება მივიღოთ ტემპერატურის წრფივად გასაშუალებელი განაწილების შესაბამისად. ამიტომ განსახილველი კაშხლის კონსოლის განიც კვეთს ცყოფთ ხუთ ჰორიზონტალურ თაღად არაგადაკვეთი ტემპერატურათა ველებით, რაც განპირობებულია, საზომი კვეთების რაოდენობით /ჩვეულებრივად სამივე საკმარისია/. ბეტონის საშუალო ტემპერატურის ფუნქცია ხუთ კვეთში მიიღება შემდეგი სახით

$$Q(T) = \beta_1 T_1 + \beta_2 T_2 + \beta_3 T_3 + \beta_4 T_4 + \beta_5 T_5 \quad /3.3.5./$$

სადაც $\beta_1 \dots \beta_5$ - არის 75, 120, 162, 210 და 240 მ-ის ღონეზე ენგურის კაშხლის $T_1 \dots T_5$ კვეთის შესაბამისი საშუალო ტემპერატურის გაფენის კოეფიციენტები.

საშუალო ტემპერატურა განსახილველ კვეთში

$$T = \frac{\sum_{i=1}^n \frac{t_{i-1} + t_i}{2} \Delta b_i}{l} \quad /3.3.6/$$

სადაც t_i - არის ტემპერატურა i წერტილში, Δb_i - არის წერტილებს შორის მანძილი, სადაც ცნობილია ტემპერატურა, l - არის კაშხლის სიგრძე მოცემულ კვეთში.

საშუალო ტემპერატურის გრადიენტის ფუნქცია გამოისახება შემდეგი დამოკიდებულებით

$$R(\theta) = \gamma_1 \theta_1 + \gamma_2 \theta_2 + \dots + \gamma_5 \theta_5 \quad /3.3.7./$$

სადაც $\gamma_1 \dots \gamma_5$ - არის შესაბამისი საშუალო ტემპერატურული $\theta_1 \dots \theta_5$ გრადიენტების გაფენის კოეფიციენტები კვეთებში 75, 120, 162, 210 და 240 მ ღონეზე, რომლებიც გამოიანგარიშებიან ფორმულით

$$\theta = \frac{12}{l^3} \sum_{i=1}^n \frac{t_{i-1} + t_i}{2} b_i x_i \quad /3.3.8./$$

სადაც x_i - არის მანძილი განსახილველი კაშხლის კვეთის ცენტრიდან წერტილებს შორის შესაბამისი შუალედის ცენტრამდე, სადაც ტემპერატურაა გაზომილი.

გამოიყენება რა /3.3.5/ და /3.3.7/ დამოკიდებულება, განისაზღვრება კაშხლის სხეულის ტემპერატურული რეჟიმი როგორც მათი ჯამი

$$Q(T) + R(\theta) = \beta_1 T_1 + \beta_2 T_2 + \dots + \beta_5 T_5 + \gamma_1 \theta_1 + \gamma_2 \theta_2 + \dots + \gamma_5 \theta_5 \quad /3.3.9/$$

ნაგებობების ვერტიკალურ გადაადგილებაზე მომქმედ ფაქტორებს მიეკუთვნება კაშხლის სხეულში ბეტონის წყობის სიმაღლე და პიეზომეტრული დაწინევა. პიეზომეტრული დაწინევები, რომლებიც იზომებიან პიეზომეტრებით, ფლტრაციული ნაკადი სხვადასხვა წერტილებში, დროის გარკვეული მომენტში ახასიათებენ დაწინევას, გასაშუალებელს წყლოვანი ფენის რაღაც სიმაღლეზე.

სექციისში ბეტონის სიმაღლის z ფუნქცია და პიეზომეტრული დაწინევის გამოისახება მეორე ხარისხის ორი წევრით.

წევრების მინიმალური რაოდენობის დროს ისინი საკმაოდ კარგად ასახავენ მოცემული მოვლენებს და შესაბამისად აქვთ ასეთი სახე

$$S(z) = q_1 z + q_2 z^2 \quad /3.3.10/$$

$$P(h) = \mu_1 h + \mu_2 h^2 \quad /3.3.11/$$

ჯამში იძლევიან

$$S(z) + P(h) = q_1 z + q_2 z^2 + \mu_1 h + \mu_2 h^2 \quad /3.3.12/$$

სადაც q_1, q_2, μ_1, μ_2 - კაშხლის სექციის სიმაღლის და პიეზომეტრული დაწინევის შესაბამისი გაცდენის კოეფიციენტები

ტემპერატურული დეფორმაციები ნაგებობაში ჩაღებულ გამზომი საშუალების /საფუძველში და ნაკერებში / არყოფნის შემთხვევაში შეიძლება გამოისახონ გარემოს ტემპერატურით, რომელიც ნაგებობაში საშუალო ტემპერატურის დადგენის შემდეგ განსაზღვრავს კაშხლის ტემპერატურული დეფორმაციების შეცვლას.



ფუნქცია, რომელითაც აპროქსიმირდება გარემოს ტემპერატურის ცვლილებას, შეიძლება იყოს გამოსახული ასეთი სახით / 15 /

$$Q(T_e) = \beta [t_c + A \cos(\omega t - \varphi)] \quad /3,3,13/$$

სადაც β - არის გარემოს ტემპერატურის გაჯენის კოეფიციენტი

t_c - არის საშუალომრავალწლიური ჰაერის ტემპერატურა

მშენებლობის რაიონში

$$t_c = \frac{1}{12} \sum_{i=1}^{12} t_i \quad /3,3,14/$$

სადაც t_i - არის საშუალო თვიური ჰაერის ტემპერატურა

1957-198 წწ დაკვირვების მონაცემების მიხედვით $t_i = 13,1^{0}C$

A - არის ტემპერატურის წლიური ცვლილების ამპლიტუდა^{0}C}

$$A = \frac{\pi}{24} \sum_{i=1}^n |t_i - t_c| \quad /3,3,15/$$

ω - არის ცვლილების სიხშირე $1/სთ$

$$\omega = \frac{2\pi}{T} \quad /3,3,16/$$

T - არის საათების რაოდენობა წელიწადში 8760 სთ.

τ - არის დრო, რომელიც ათვლილია წლის დასაწყისიდან, სთ,


φ - არის კოსინუსოიდის სწყისიკ ფაზა

$$\varphi = \frac{\pi}{6} \frac{\sum_{i=1}^n |t_i - t_c| (i - 0,5) + 6 [\sum_{i=1}^n |t_i - t_c| - \sum_{i=1}^n |t_i - t_c|]}{\sum_{i=1}^{12} |t_i - t_c|} \quad /3,3,17/$$

" H " და " K " ინდექსები მიუთითებენ იმაზე, რომ ჯამდება მხოლოდ სამი სხვაობის $|t_i - t_c|$ აბსოლუტური სიდიდეები, რომელთა მნიშვნელობები უარყოფითებია /ანუ $t_i < t_c$ დროს/ შესაბამისად წლიურ დასაწყის და ბოლო დღეებში.

$$V(t) = \delta_1 e^{-t_1} + \delta_2 e^{t_2} \quad /3,3,18/$$

δ_1, δ_2 - t ფაქტორის გავლენის კოეფიციენტები



/3.3.18/ გამოსახულებაში პირველი შესაკრები, ხარისხის უარყოფითი მაჩვენებლიანი ექსპონენციალური წევრის სახით/ასახავს კაშხლის აღმართვის "ისტორიას" და დამოკიდებულია H, T, Θ და სხვ. ცვლადების ათვის დაწყების არჩევაზე, ხოლო მეორე - ხარისხის დადებითი მაჩვენებლით - ასახაობენ შეუქცევად მოვლენებს რელაქსაციაიდან, ბეტონის ჯდენიდან. და სხვა.

საერთო გადაადგილებისთვის დრო აითვლებოდა 01.01.198 წლიდან /არსებული მონაცემებით/ ხოლო ბეტონში ძაბვისათვის და რადიალური ნაკერების დეფორმაციისათვის - წყალსაცავში საზომი კვეთის ღონის მიღწევიდან. გაზომვის ერთეულად მიღებული იყო წელიწადი. უნდა აღინიშნოს, რომ დროის ათვის დაწყების ნებისმიერი განსაზღვრებას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ამგვარად, მხედველობაში მიღებულია /3.3.4./, /3.3.9/, /3.3.10/, /3.3.11/, /3.3.13/ და /3.3.18/, ფუნქციები რომლებიც ასახაობენ ნაგებობის მდგომარეობაზე ძირითადი ფაქტორების გავლენას, შეიძლება ჩაიწეროს მათემატიკური მოდელი, რომელიც აპროქსიმირებს კაშხლის მდგომარეობის პარამეტრებს:

პორიზონტალური გადაადგილებები

$$L = \alpha_1 H + \alpha_2 H^2 + \alpha_3 H^3 + \alpha_4 \Delta H + \beta_1 T_1 + \beta_2 T_2 + \dots + \beta_5 T_5 + \gamma_1 \Theta_1 + \gamma_2 \Theta_2 + \dots + \gamma_5 \Theta_5 + \delta_1 e^{-t_1} + \delta_2 e^{-t_2} \quad /3.3.19/$$

ვერტიკალური გადაადგილები

$$S = q_1 z + q_2 z^2 + \alpha_1 H + \alpha_2 H^2 + \alpha_3 H^3 + \alpha_4 \Delta H + \mu_1 k + \mu_2 k^2 + \beta [\tau_c + A \cos(\omega \tau - \varphi)] + \delta_1 e^{-t_1} + \delta_2 e^{-t_2} \quad /3.3.20/$$

ძაბვა ბეტონში

$$\sigma = \alpha_1 H + \alpha_2 H^2 + \alpha_3 H^3 + \alpha_4 \Delta H + \beta [\tau_c + A \cos(\omega \tau - \varphi)] + \delta_1 e^{-t_1} + \delta_2 e^{-t_2} \quad /3.3.21/$$

რადიალური ნაკერების გახსნა


$$\begin{aligned} \xi = & \alpha_1 H + \alpha_2 H^2 + \alpha_3 H^3 + \alpha_4 H + \beta [t_c + A \cos(\omega \tau - \varphi)] + \\ & + \delta_1 e^{-t_1} + \delta_2 e^{t_2} \end{aligned} \quad /3.3.22/$$

მათემატიკური მოდელის /3.3.19/ გავლენის უცნობი კოეფიციენტები /რეგრესიის განტოლების კოეფიციენტები/ განისაზღვრებიან უმცირესი კვადრატების მეთოდით.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე განსაზღვრდება გავლენის ხარისხის მიზნის ფუნქციაზე ყველა ფაქტორიდან, რომელიც მოქმედებს შესასწავლ სისტემაში და მათგან გამოყოფენ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანს. ამისათვის შესაბამის მათემატიკურ მოდელის წარმოადგენენ განტოლების სახით რანჟირებული მნიშვნელობის ცვლადით და ხლეჩენ მათ განსაზღვრულ ფაქტორებზე სპეციალური მათემატიკური პროცედურების საფუძველზე.

ამ მიზნით, ამ განტოლებიდან გამოიკლება კერძო წარმოებულის ნამრავლი მიღებული გავლენის კოეფიციენტებთან. შემდეგ, განისაზღვრება რა შემადგენელი პარამეტრები საშუალო კვადრატული ცვლილებით, ადგენენ ცალცალკე ყველა პარამეტრის გავლენას /წონა/ მიზნის ფუნქციაზე /17/.

ყველა ძირითადი ფაქტორის გავლენის ხარისხის /წონა/ რომელიც ზემოქმედებს ახდენს ენგურის კაშხალის პორიზონტალურ გადაადგილებებზე, განსაზღვრული იყო სტატისტიკური ანალიზის მეთოდით /19/, ფაქტორის წონის გათვლის შედეგები დატანილია 3.3.1. ცხრილზე 3.3.1 ნახ-ზე წარმოდგენილია რადიალური გადაადგილებების შემადგენლობის დამოკიდებულებები ძირითად ფაქტორებზე.



ნახ. 3.3.1. ბირითადი კონსოლის პორიზონტალური გადაადგილების შემდგენლები 240მ ნიშნულზე ფაქტორებიდან: დროის /1/; პაერის ტემპერატურა /2/; წ.დ.ზ.პ. /3/; 4 - ჯამური გადაადგილებები; 5- პაერის ტემპერატურა; 6 - წ.დ.ზ.პ.


ღონე g	ფაქტორის წონა		
	H	T	t
25	0,873	0,005	0,122
75	0,841	0,019	0,140
120	0,758	0,038	0,204
162	0,769	0,058	0,173
210	0,729	0,089	0,182
240	0,786	0,124	0,090

3.3.1. ცხრილის მონაცემების ანალიზიდან და 3.3.1. ნახაზზე გრაფიკების შედარებიდან გამომდინარეობს, რომ ენჯურის კაშხლის ჰორიზონტალურ გადაადგილებაზე ძირითად გავლენას ახდენს პიდროსტატიკური დატვირთვა, ხოლო გადანაცვლების ტემპერატურული მდგენელი უფრო საგრძნობია კაშხლის ზედა მეთხედში.

ფაქტორების წონის გაანგარიშების შედეგები, ენჯურის კაშხლის 12-11 სექციის 103 მ-ის ღონეზე თაღვანი და კონსოლური ძაბვისადვის, მოყვანილია 3.3.2. ცხრილში.

ამგვარად ხდება წონის ფაქტორის განსაზღვრება თაღვანი კაშხლის სხვა საკონტროლებელ კვეთებზე.

3.3.2. ნახაზზე მოტანილია 103 მ ღონეზე 12-11 სექციის კონსოლური ძაბვის მდგენელების მრუდები. როგორც ჩანს, მოცემულ საზომ წერტილში კონსოლური ძაბვის ცვლილებაზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს პიდროსტატიკური დატვირთვა, ხოლო ტემპერატურის გავლენა 2-ჯერ ნაკლებია.



ნახ. 3.3.2. 12.2. სექციის ბეტონში კონსოლური ძაბვის შემდგენლები
 103.0 ნიშნულზე, ფაქტორებიდან წ.დ.ზ.ბ. /1/; პაერის
 ტემპერატურა /2/; დროის /3/; 4- ჯამური ძაბვა,;
 5 - პაერის ტემპერატურა; 6- წ.დ.ზ.ბ.



დონე	სექცია	ფაქტორის წონა			
		H	T	t	
		ნა	0,78	0,19	0,03
103	12-11	ნკ	0,58	0,26	0,16

ანალოგიური გზით არის გაანალიზებული ნორმალური ძაბვის მდგენელის გავლენა ნაგებობების სხვა საკონსტრუქციო კვებებზე. დადგენილია, რომ ძაბვაზე ძირითად გავლენას ახდენს ჰიდროსტატიკური დატვირთვა, მაშინ როცა ჰაერის ~~სხვა~~ ტემპერატურის გავლენა იგრძნობა პირველი სვეტის ზედა ნაწილში და ნაგებობების ქვედა ზედაპირზე, ხოლო დროის ფაქტორის გავლენა, ყველა შემთხვევაში, დიდი არ არის და აქვს მიღვევადი ხასიათი.

4. ტემპერატურის ზემოქმედება ნაგებობაზე

მრავალ ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ნაგებობებზე /ზეტონის/ ერთ-ერთი აქტიური არის ტემპერატურა /16/. აქედან გამომდინარე ნაგებობების ტანში ტემპერატურთა ველის შესწავლას მისი მშენებლობის დროს და ასევე ექსპლუატაციის პერიოდში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ნაგებობის თერმულ მდგომარეობაზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა კლიმატი, მასალის თვისება, მშენებლობის ტექნოლოგია, ნაგებობის კონსტრუქცია და ა.შ. კლიმატური ფაქტორი შესაძლებლობას იძლევა აპროქსიმაციის დასაშვები ხარისხით განისაზღვროს მყარი სხეულის სასაზღვრო პირობები. ნაგებობების სხეულში ტემპერატურათა ველის განსაზღვრისათვის ძირითადია ნაგებობის მასალების მახასიათებლები, ნაგებობების კონსტრუქცია, აგრეთვე მშენებლობის ტექნოლოგია; ამოყვანის თანმიმდევრობა და ა.შ. აგრეთვე ახდენენ განსაზღვრულ გავლენას ნაგებობის ტემპერატურაზე.



4. 1. ჰაერის ტემპერატურა

ჰაერის ტემპერატურა ბირთვითი ფაქტორთა სასაზღვრო პირობების განსაზღვრავად, რაც განაპირობებს ბეტონის ნაგებობების თერმულ მდგომარეობის როგორც მშენებლობის დროს, ასევე ექსპლუატაციის პერიოდშიც. ნაგებობების ზედაპირის ტემპერატურა შეიძლება განისაზღვროს საშუალოწლიური ტემპერატურიდან, მდგომარეობაში მიიღება ასევე კონვენციისა და მზის რადიაციის მოქმედება.

საქართველოს თერმული რეჟიმი განპირობებულია ძირითადად მზის სისტემის გეოგრაფიული მდგომარეობით, წყალსატევებით, მცენარეულობით, თოვლის საფარით, ატმოსფეროს ცირკულაციით. ამ ფაქტორების შედეგად ტემპერატურული რეჟიმი დიდი კონტრასტით ხასიათდება /36/.

საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ცივი თვე იანვარია. თუმცა საქართველოს მაღალ რაიონებში /ზღვის დონიდან 2700-2800მ/ თებერვალი იანვარზე უფრო ცივა /ნახ. 4.1./

ნიშნულებს 2700-2800მ ზღვის დონიდან საქართველოსათვის აქვთ "ტემპერატურის საზღვრის" მნიშვნელობა. საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე მაღალი ტემპერატურა არის ივნისის და ივლისის თვეში. ივლისისა და აგვისტოს თვის ტემპერატურების სხვაობა არის მეთაფი გრადუსი.

საქართველოში საშუალო თვიური მაქსიმალური ტემპერატურა შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს სახმრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემოქართლისა და ალაზნის ვაკეზე /ივლისში 24⁰-25⁰ ფარგლებში/. მაღალი ტემპერატურით გამოირჩევიან ჩრდილო-ზღვის პირეთის რაიონები და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი /ივლისში 23.5⁰ მაღლა/ ნახ /4.2.; 4.3/

საქართველოს ტემპერატურის რეჟიმზე მოქმედებენ მთიდან მოზერლი მშრალი ქარები, ან როგორც მათ უწოდებენ ფენები. ფენები უფრო ხშირად გვხვდებიან დასავლეთ საქართველოში. იყო შემთხვევები, როდესაც ფენების გამო ტემპერატურა იანვარში 0⁰ დან 16,5⁰ - მაღლა აწეულა რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში. ძირითადად ფენების დროს ტემპერატურა მაღლა იწევს 3-4⁰-ით.

მომავალი მშენებლობის ადგილზე, ჰიდროტექნიკური ნაგებობები ის პრექტორებისა და ტერიტორიის უმეტეს, შემთხვევაში ტემპერატურული მონაცემები არა გვაქვს ხშირად იყენებენ მეზობელი ადგილის ტემპერატურულ დაკვირვებებს უახლოესი კლიმატური სადგურიდან.

ნაგებობების სავარაუდო მშენებლობის ზონაში ჰაერის ტემპერატურაზე ინფორმაციის დამუშავება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. დამუშავება შეიცავს დასაკვირვებელი ტემპერატურების ანალიტიკური დამოკიდებულების აპროგნოზირებას. დასაკვირვებელი ტემპერატურული აპროგნოზირებისათვის არსებობს მრავალგვარი მეთოდები, მაგრამ ჩვენი აზრით ყველაზე კარგია სპექტრული განაწილება ცნობილია, რომ ჰაერის ტემპერატურა შეიძლება ჩავთვალოთ მიახლოებით დროის პერიოდულ ფუნქციად.

ენტურის თაღვანი კაშხლისათვის ჩატარებული იყო ანალიზი 1 წლის, 2 წლის, 3 წლის, 4 წლის პერიოდებში /გაზომვით ყოველ 2 საათში/. მიღებული შედეგების ანალიზები აჩვენებენ, რომ საინტერესოა 1 წლის და 1 დღე-ღამის პერიოდების განხილვა. ტემპერატურის ზემოქმედების დანარჩენ მდგენელებს აქვთ ნათლად გამოხატული შემთხვევითი ხასიათი განიხილებოდა 4, 8, 12 საათიანი ტემპერატურის ცვლილებები /ნახ. 4.4./.

მრავალი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ წყლური ტემპერატურის ტალღა ეხება ნაგებობის წახნაგების 0,5-0,8 მეტრის ზონას. დღიური ტემპერატურის ტალღა არსებით გადაენას ახდენს ნაგებობის დამაბულ დეფორმირებულ მდგომარეობაზე და ნაწილობრივ ბზარწარმოქმნაზე.


ასევე უნდა შევიჩინოთ ნაგებობების ფუძეში თერმული ტალღების შედეგად. ნაშრომში /189/ კეთდება დასკვნა, რომ წყლური ტემპერატურის ტალღა მიიღება 12 მ-ის სიღრმეზე მოყვანილი მიუთითებს კაშხალ-ფუძის სისტემის თერმულ მდგომარეობაზე კაშხლის ფუნდამენტის თერმის მნიშვნელობაზე.






ნახ. 4.1. პინდის საშუალო ტერიტორია. იანვარი



ნახ. 4.2. პაერის საშუალო ტემპერატურა. ივლისი



ნახ. 4.3. პაერის ტემპერატურა. წილჩადი.



ნახ. 4.4. ადრემული სპექტრი ტემპერატურების

ფართობის ზედაპირის ერთეულზე მცარდნი საერთო S ენერგია ტოლია

$$Q_T = \int_{t_0}^{t_1} J_T dt = \int_{t_0}^{t_1} \frac{Jk}{\cos \kappa} \cos \gamma dt \quad /4.2./$$

სადაც t_0 და t_1 - წარმოადგენენ მომენტებს, რომლებს შვესაბამიან ზედაპირზე მზის ამოსვლას და ჩასვლას.

$\cos \kappa$ და $\cos \gamma$ - მნიშვნელობები განისაზღვრებიან, როგორც t_0 და t_1 სფერული ტრიგონომეტრიის საფუძველზე /189/.

იმის დაშვების შემთხვევაში, რომ კაშალებს მზის რადიაციის შესაბამისად გააჩნიათ ზომები, რითაც ისინი შეიძლება ნახევრად განუსაზღვრულ სხეულებად ჩაითვალოს, მაშინ κ რადიაციის მუდმივი მოქმედების დროს შეიძლება მივიღოთ ზედაპირზე ტემპერატურის აწევის მნიშვნელობა.

$$T(\theta, t) = \frac{aJk}{k} \left\{ 1 - e^{-\frac{\bar{k}^2 k^2 t}{\kappa^2}} \left[1 - P \sqrt{\frac{\bar{k}^2 k^2 t}{\kappa^2}} \right] \right\} \quad /4.3./$$

სადაც a - შთანთქმის კოეფიციენტი;




\bar{k} - ნაგებობისა და გარემოს შორის თბოგამტარობის კოეფიციენტი.

4.3. წყლის ტემპერატურა


წყალსაცავის წყლის ტემპერატურა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ბეტონის თერმული ანალიზის დროს სასაზღვრო პირობების განსაზღვრისათვის. იგი განისაზღვრება პროგნოზირების მეთოდებით, უშუალო გამოწვევებით ან დაპროექტების ეტაპზე-ცდის საფუძველზე.

წყალსაცავში წყლის ტემპერატურაზე არსებულ გავლენას ახდენს შაერის ტემპერატურა, მზის რადიაცია, მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი და ა.შ.



სადაც	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	სადაც
ტფილისი	4,3	5,6	9,1	11,6	14,8	16,4	16,9	15,0	10,9	8,0	4,5	3,6	120,7
შირაქი	4,9	6,3	9,2	11,8	14,4	15,2	16,4	16,1	12,1	8,5	5,2	4,8	125,3
მუხრანი	4,7	6,0	9,2	11,2	13,2	15,2	15,2	14,8	11,4	8,3	5,2	4,0	117,9
სკრა გორი	4,4	5,9	9,0	11,4	13,7	15,2	15,6	14,9	12,2	8,4	5,3	4,1	120,0
აქმეტა	4,7	5,9	9,1	11,4	13,7	15,4	16,7	14,7	11,2	8,1	5,2	4,2	120,3
ანასოული	4,6	5,3	8,3	13,5	16,0	16,8	15,3	14,7	10,5	6,9	4,8	4,1	118,9
კუთაისი	4,8	6,5	10,4	12,1	14,6	15,7	14,8	14,0	12,0	9,2	5,9	4,2	124,2
საქარა	4,8	6,3	9,8	12,1	14,4	15,4	14,8	14,1	12,0	8,8	6,7	4,8	123,6
ჭყატურა	4,9	6,5	10,6	12,6	14,3	16,2	15,5	14,8	12,6	9,3	6,1	4,4	128,7
ხულო	4,7	6,4	9,6	12,0	14,1	14,8	14,3	13,6	11,8	8,7	5,9	4,5	120,4
ციცა	4,9	6,4	9,8	12,3	14,6	15,7	14,8	14,9	11,9	8,8	6,0	4,4	123,9
სუხუმი	4,7	5,7	9,3	12,4	15,5	16,5	18,1	16,4	12,7	9,2	5,9	3,8	130,3
კაზბეგთ, ვ. გ.	5,8	8,1	11,8	15,0	19,1	19,6	19,0	17,6	13,7	9,8	7,3	4,4	150,9
შოვი	5,9	8,0	12,2	14,8	17,5	19,5	19,8	17,1	13,9	10,0	6,9	5,8	149,7
ბახმარო	6,1	8,2	12,6	15,5	18,2	19,0	18,2	16,6	13,1	10,5	7,3	5,5	151,0
აბაშუმანი	6,3	8,5	13,0	15,5	18,0	19,3	19,2	17,6	14,4	10,6	7,3	5,6	155,3
ლიბანი	6,6	8,3	14,0	15,3	18,2	19,0	18,9	17,4	14,3	11,0	7,3	5,5	155,7
ბაკურიანი	6,3	8,5	13,0	15,4	17,8	18,5	18,5	17,5	14,6	10,8	7,3	5,5	153,7
მანგლისი	6,3	8,4	12,9	15,4	17,8	18,7	18,9	17,4	14,0	10,2	7,0	5,6	152,6
თელავი	4,8	6,9	9,5	10,6	15,3	16,6	16,8	15,0	10,3	7,5	4,2	4,0	121,8




განმარტება: გეოგრაფიკული და სეზონური ცვლილებები.





ა) გეოგრაფიკული ცვლილება




ბ) სეზონური ცვლილება



გ) გეოგრაფიკული ცვლილება



დ) სეზონური ცვლილება




ნახ. 4.5. რადიაციის მიზეზით დღიური და საშუალო თვიური ტემპერატურის შეცვლა დღის განმავლობაში და საშუალო თვიურად 189 ნაშრომის საფუძველზე.



4.6. ნახატზე მოტანილია საშუალო თვითური ტემპერატურის გაზომვის მონაცემები, ზედა ბიეფში, წყალსაცავის სხვადასხვა სიღრმეზე, პორტუგალიის ორი კაშხლისათვის: შიკოტიე და კასტელიო დე ბოდე /პორტუგალია/ /169/.

სხვადასხვა კაშხლებზე დაკვირვების შედეგების განზოგადებისას შეიძლება აღინიშნოს, რომ წყალსაცავში წყლის ტემპერატურა ერთი დღის განმავლობაში თითქმის მუდმივია, სიღრმეში წყლის ტემპერატურა პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული წყალსაცავში წყლის ღონეზე.



ნახ. 4.6. კასტელიო დე ბოდეს /ა/ და პიკოტეს /ბ/ წყალსაცავებში საშუალოთვიური წყლის ტემპერატურის მონაცემები

ბაერის ტემპერატურა		-----
წყლის ზედაპირზე		-----
სიღრმეში	3 მ
"	10 მ
"	20 მ	---
"	40 მ	-----
"	60 მ	-----
"	80 მ	-----

5. მყარი სხეულების თერმული თვისებები

5.1. თხივ ქაჯიმა

სიბო წარმოიშვება ენერჯის სხვა ფორმებისაგან. სიბოს გადაცემა დამყარებულია ფერმოლინამიკის ძირითად კანონებზე, ორ სხეულის შორის სიბოს გადაცემას ადგილი აქვს ყველთვის, როცა დგინდება მათ შორის ტემპერატურის სხვაობა და მას აქვს მიმართულება უფრო მაღლი ტემპერატურის მქონე ობიექტიდან დაბალი ტემპერატურის მქონე ობიექტისკენ

/30, 99, 130/.

განვიხილოთ თბოგადაცემის შედეგი პროცესები: თბოგამტრობა, კონ-
 ვექცია და რადიაცია.

თ ბ თ გ ა მ ტ რ ა რ ო ბ ა ა რ ი ს

თბური მოძრაობისა და მიკრონაწილაკების ურთიერთქმედების შედეგად,
 სხეულის უფრო მეტად გამთბარი უნიდან ნაკლებად გამთბარ უბანზე ენერ-
 გიის გადატანა.

ჩვეულებრივად, თბოგამტრობას უწოდებენ გადასატანი ენერჯიის რაო-
 დენობას, რომელიც განისაზღვრება, როგორც ტემპერატურის გრადიენტის
 პროპორციული ტემპერატურის ნაკადის სიმკვრივე. მიღებულია უნდა ჩაით-
 ვალოს, რომ ნივთიერების შიგა ენერჯიასთან დაკავშირებული თბოგამტრო-
 ბა დაკავშირებულია უფრო მაღალი ენერჯეტიკული დონის მქონე ნაწილაკების
 ენერჯიის გადაცემაზე უფრო დაბალ ენერჯეტიკული დონის ნაწილაკებზე.

ასევე შეიძლება მივეცეთ შედეგი განსაზღვრება იმას, რომ ერთი
 სხეულიდან მეორეზე გადაცემული ენერჯია განისაზღვრება სხეულების ერთ-
 მანეთზე შესრულებული სამუშაოთი, ერთი სხეულიდან მეორე სხეულზე, თბო-
 გადაცემის გზით გადაცემული ენერჯიის რაოდენობა განისაზღვრება სიბზოს
 რაოდენობით, რომელსაც აძლევს ერთი სხეული მეორეს. შიგა ენერჯიის ნა-
 მატი ტოლი უნდა იყოს A^* სისტემაზე მოხდენილი სამუშაოსა და სისტე-
 მაზე მინიჭებული სიბზოს რაოდენობის ჯამისა.

$$U_2 - U_1 = Q + A^* \quad /5.1./$$

სადაც U_1 და U_2 - სისტემის შიდა ენერჯიის სწორი და საბოლოო
 მნიშვნელობები. ჩვეულებრივად $-S$ განიხილავენგარე
 როგორც სხეულზე სისტემის მიერ შესრულებულ სა-
 მუშაოს.

განტოლებას შეიძლება მივეცეს ასეთი სახე:

$$Q = U_2 - U_1 + A \quad /5.2/$$

განტოლება გამოხატავს ენერჯიის მუდმივობის კანონს და წარმოადგენს
 თერმოდინამიკის პირველი კანონს.



კონვექცია დამყარებულია გარემოს მაკროსკოპული ნაწილის გაღვრაზე, რომელსაც სითბოს გადატანასთან მივყავართ. განსხვავებენ ბუნებრივს, რომელიც გარემოს ტემპერატურისა და სიმკვრივის გრადიენტების არაერთგვაროვნეობაა გამოწვეული და იძულებითს, რომელიც გამოწვეულია გარემოზე გარე ზემოქმედებით. კონვენციას შეიძლება შედეგი განსაზღვრებაც მიეცეს: ის დამოკიდებულია მოზარაობაში, ან სითბოს ნაწილებს შორის სითბოს ენერჯის გაცვლასთან ან მათ და სხვადასხვა ტემპერატურის მყარ ზედაპირებთან.

კონვექციით სითბოს გადაცემა შეიცავს სითბოს განივის კონონების სითბოს გადაცემის, ენერჯის მულტიფიკაციის და ა.შ. ერთდროულ შესწავლას.

თერმული რადიაცია არის ელემენტარული ან ელექტრომაგნიტური ტალღების აბსორბციით სხეულებს შორის სითბოს გადაცემის პროცესი. ელექტრომაგნიტური სპექტრი არის გამოსხივების უწყვეტი მწკრივი, სხივებიდან რადიოტალღებამდე.

სპექტრის სხვადასხვა უბნების დასახელებები იძლევიან გამოსხივების წყაროს მოხერხებულ კლასიფიკაციას. გამოსხივების ფიზიკური ბუნება მთელ სპექტრზე ერთგვარია. სპექტრის მთელ დიაპაზონზე მათ გააჩნიათ გავრცელების ერთნაირი სიჩქარე, ერთნაირი ელექტრომაგნიტური ბუნება, განსხვავებაა მხოლოდ სიხშირეები და ტალღების სიგრძეში. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დასახელების სპექტრების არეები გადაიხურებიან და ეს დასახელებები დავაგვირებული არიან გამოსხივების წყაროსთან, მაგალითად: მოპრავი ელექტრონებით შეიქმნა რადიო და მიკროტალღური გამოსხივება, ცხელი სხეულებით - ინფრაწითელი, ძლიერ გაცხელებული სხეულებით - ხელუნი სინათლე, ულტრაიისფერი - აირის განმუხტვით, ელექტრორკალით, რენტგენის სხივები "ანტიკათოდზე ელექტრონების დაცემული, სხივები რადიოაქტიური ატომების ბირთვით.

5.2. თბოგადაცემა ფურცის კანონი

თბოგადაცემების ძირითადი კანონი ცნობილია, როგორც ფურცის კანონი /143/ მისი ფორმულირება შემდგენიარად შეიძლება. ფართობზე გამავალი სითბოს რაოდენობა, რომელიც განლაგებულია დროის ერთეულის განმავლობაში სითბური ნაკადის ნორმალის მიმართულეობით ფართობისა და თერმულ გრადიენტის ნამრავლის პროპორციულია

$$\frac{dQ}{dt} = -\lambda E \frac{\partial T}{\partial n} \quad /5.5/$$

სადაც λ - თბოგამტარობის კოეფიციენტი.

ან სხვა ფორმულირებით, ნაკადის სიმკვრივე პროპორციულია ტემპერატურადა გრადიენტისა და მახთან დაკავშირებულია λ პროპორციულობის კოეფიციენტით.

$$q = -\lambda \operatorname{grad} T \quad /5.6./$$

ნიშანი - მიუთითებს სითბური ნაკადის და ტემპერატურის გრადიენტის ვექტორების საწინააღმდეგო მიმართულებაზე.

კოეფიციენტს უწოდებენ თბოგამტარობის კოეფიციენტს და ახასიათებს ნივთიერების უნარს გაატაროს სითბო. სამგანზომილებიანი ტემპერატურის ველის განხილვისას, როდესაც არ არის სითბოს შიდა წყაროები, შეიძლება ნივთიერება T ტემპერატურის t დროის და x, y, z კოორდინატებს შორის დამოკიდებულება, თბოგამტარობის დიფერენციალური განტოლების სახით

$$\frac{\partial T}{\partial t} = \frac{\lambda}{e\varphi} \nabla^2 T \quad /5.7./$$

ამ განტოლებაში თბოგამტარობის λ თბოტევადობის C და φ სიმკვრივის კოეფიციენტები მიღებულია დანარჩენი პარამეტრებისაგან დამოუკიდებლად.

$\nabla^2 T$ ლაპლასის ოპერატორის წარმოადგენს.

$$\nabla^2 T = \frac{\partial^2 T}{\partial x^2} + \frac{\partial^2 T}{\partial y^2} + \frac{\partial^2 T}{\partial z^2} \quad /5.8./$$

$\alpha = \frac{\lambda}{c \cdot \rho \cdot g}$ კომპლექსს ეწოდება ტემპერატურა გამტარობის კოეფიციენტი.

განვიხილოთ გაზომილი ერთგვაროვანი მყარი სხეულის მოცულობა მართკუთხა პრიზმის ფორმით, წახნაგები კოორდინატების ღერძების პარალელურია, მართკუთხა პრიზმის ცენტრს წარმოადგენს წერტილი $P(x_i)$

/ნახ. 5.1./ დავუშვათ, რომ წახნაგის სიგრძე dx , ხოლო F_i და F_{i+1} წახნაგებს შეესაბამება სიჭრტყეში, $x_i = x_i - dx$ $x_{i+1} = x_i + dx$

წახნაგიდან პრიზმაში შემავალი სითბური ნაკადი გამოისახება შემდეგი სახით.

$$4 \left(q_i - \frac{\partial q_i}{\partial x_i} dx_i \right) dx_i dx_n \quad /5.9./$$

ხოლო მოპირდაპირე წახნაგიდან შემავალი

$$4 \left(q_i + \frac{\partial q_i}{\partial x_i} dx_i \right) dx_i dx_n \quad /5.10./$$

შემავალი და გამოსული სითბოს რაოდენობის განსხვავებას დროის ერთეულში, ტოლია ამ მოცულობაში, დროის ერთეულში, დაგროვილი სითბოს რაოდენობის.

ეს განსხვავება ტოლია

$$-8 \frac{\partial q_i}{\partial x_i} dx_1 dx_2 dx_3 \quad /5.11/$$

ან სითბური ნაკადის განსაზღვრებით

$$8\lambda \frac{\partial^2 T}{\partial x_i^2} dx_1 dx_2 dx_3 \quad /5.12/$$

პრიზმაში დაგროვილი სითბოს რაოდენობა დროის ერთეულში

$$8\rho c \frac{\partial T}{\partial t} dx_1 dx_2 dx_3 \quad /5.13/$$

5.12 და 5.13-ის გატოლებისას მივიღებთ ფურიეს ცნობილ განტოლებას


$$\lambda \frac{\partial^2 T}{\partial x_i^2} = \rho c \frac{\partial T}{\partial t} \quad /5.14/$$

$$\text{ახ} \quad \frac{\lambda}{\rho c} \frac{\partial^2 T}{\partial x_i^2} = \frac{\partial T}{\partial t}$$

რადიანაც $\lambda / \rho c = a$

სადაც a - თბოგამტარუნარიანობის კოეფიციენტი.

თუკი არსებობს სიბრტყის წიგა წყარო და $Q(x, t)$ გენერირებულ ენერჯიაა დროის ერთეულში



ნახ. 5.1.

მოცულობის ერთეულზე, მაშინ მივიღებთ ჯორიეს განტოლებას

$$\lambda \frac{\partial^2 T}{\partial x_i^2} + Q - c \frac{\partial T}{\partial t} = 0 \quad /5.16/$$

$\frac{\partial T}{\partial t} = 0$ დროს /5.14/ განტოლება ასეთ სახეს მიიღებს

$$\nabla^2 T = \frac{\partial^2 T}{\partial x_i^2} \quad /5.17/$$

რაც წარმოადგენს ლაპლასის განტოლებას, ხოლო /5.16/ განტოლება შემ-

დეგი სახისაა

$$\lambda \frac{\partial^2 T}{\partial x_i^2} + Q = 0 \quad (i = 1, 2, 3)$$

/5.18/



ფორმის განტოლების გამოყვანის დროს λ, ρ, c მუდმივებად მიღებული იყვნენ. სხვა შემთხვევაში /5.16/ განტოლება იღებს ასეთი სახეს

$$\frac{\partial}{\partial x_i} \left(\lambda \frac{\partial T}{\partial x_i} \right) + Q - c \frac{\partial T}{\partial t} = 0 \quad (i = 1, 2, 3) \quad /5.20/$$

5.3. თერმული მახასიათებლები

სიბზოს გამტარობის პროცესში მონაწილე თერმული მახასიათებლები არიან თბოგამტარობის კოეფიციენტები, კუთრი თბოტევადობა, თერმო გამტარობის კოეფიციენტები.

თბოგამტარობის კოეფიციენტი ახასიათებს ნივთიერების უნ არს გაატაროს სიბზო და მისი მნიშვნელობა განსაზღვრავს სიბზოს რაოდენობას, რომელიც გადის დროის ერთეულში ზედაპირის ერთეულს 1^0 -ით ც ტემპერატურის ცვლილების დროს სიბზური ნაკადის ერთეული სიგრძეზე.

$$\lambda = \frac{Q}{tF\Delta T/l} \quad /5.21/$$

თერმული გამტარობის მნიშვნელობა დამოკიდებულია სხეულის ქიმიურ შემადგენლობაზე, მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, ასევე ტემპერატურასა და წნევაზე. თბოგამტარობის კოეფიციენტი იცვლება საკმაოდ დიდ დიაპაზონზე.

კუთრი თბოტევადობა ეწოდება სიბზოს რაოდენობას, რომელიც საჭიროა 1 კგ ნივთიერების გასათბობად 1^0 ც -ით. თბოტევადობა მუდმივი წნევის დროს აღინიშნება C_p /კკალ/კგ⁰ც/ასეთი, ხოლო მუდმივი მოცულობის დროს C_v

კუთრი თბოტევადობა არის სიბზოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა, რა-თა სხეულის მდგომარეობის შეუცვლელად, ტემპერატურის ერთ ერთეულზე აიწიოს ნივთიერების მასის ერთეული. წარმოვადგენთ ენერჯის დაჯგოებასა და მუშაობის რაოდენობასთან დაკავშირებული მახასიათებელს, რაც ტემპე-

რატორის აწვევის თანმხლებია. კუთრი თბოტევადობის მნიშვნელობა დადამოკიდებულია ნივთიერების ტემპერატურაზე და მის გათბობაზე გამოყენებულ მეთოდზე.

ტემპერატურგამიტარობის კოეფიციენტი არის კომპლექსური სიდიდე, რომელიც ახასიათებს ტემპერატურის ცვლილებას არასტაციონალურ სიბრტყეებში. რაც უფრო მაღალია ნივთიერების თერმო გამტარობის კოეფიციენტის მნიშვნელობა, მასში უფრო დიდია ტემპერატურის გავრცელება. თერმო გამტარობის კოეფიციენტი ასოთი აღინიშნება

$$\alpha = \frac{\lambda}{C_p \rho} = \frac{\lambda}{C_p \gamma} \quad /5.22./$$

სადაც γ - არის კუთრი წონა.

5.4. სიბრტყის ნაკადი. იზოთერმული ზედაპირები

ერთნაირი ტემპერატურის მქონე წერტილების გეომეტრიული ადგილი ქმნის იზოთერმულ ზედაპირს. ცხადია, რომ სივრცის ერთსა და იმავე წერტილში ერთდროულად არ შეიძლება იყოს სხვადასხვა ტემპერატურა, ანუ სხვადასხვა ტემპერატურის იზოთერმული ზედაპირები არ გადაიკვეთებიან.

ტემპერატურის ცვლილება სხეულში შეინიშნება იზოთერმული ზედაპირებით გადაკვეთილ მიმართულებაში. მაქსიმალური ცვლილება მიიღება იზოთერმული ზედაპირებისკენ ნორმალის მიმართულებით.

ტემპერატურის ცვლილების ფარდობის ზღვარს, ნორმალზე იზოთერმული ზედაპირებს შორის მანძილთან, ეწოდება ტემპერატურის გრადიენტი.

$$\lim \left(\frac{\Delta T}{\Delta n} \right)_{\Delta \rightarrow 0} = \text{grad } t$$

სიბრტყის ენერჯია ვრცელდება ტემპერატურის კლების მხარეს. გადასატანი სიბრტყის რაოდენობას ეწოდება სიბრტყის ნაკადი.

სიბრტყის ნაკადის სიდიდე Q წარმოადგენს მიმართულების ვექტორს,

რომელიც ემთხვევა გავრცელებული სიბზის მიმართულებას.

5.5. თბობამტარება ანოტროპიულ მყარ სხეულში

სამშენებლო მასალებში, განსაკუთრებით კლდის მასივებში, ანიზოტროპია - მნიშვნელოვანი ფაქტორია.

პიპოტება ამ მასალებში იმაში მდგომარეობს, რომ სიბზური ნაკადის ვექტორი წარმოადგენს იზოთერმის ნორმალს, რომელიც გადის წერტილზე, არა ნამდვილია. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ვექტორ-ნაკადის თითოეული შემდგენი წარმოადგენს აერმული გრადიენტის შემადგენლობის წრფივ ფუნქციას.

$$Q_i = -\lambda_{ij} \frac{\partial T}{\partial x_j} \quad (i, j = 1, 2, 3) \quad /5.23/$$

სადაც λ_{ij} - არის მთრე რიგის ტენზორი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს თბობამტარობის ტენზორი.

ანიოტროპიულ სხეულებისათვის ფორიეს კანონს აქვს შემდეგი სახე


$$\frac{\partial}{\partial x_i} \left(\lambda_{ij} \frac{\partial T}{\partial x_j} \right) + Q - c \frac{\partial T}{\partial t} = 0 \quad /5.24/$$

5.6. სწ ყისი და სასაზღვრო პირობები

ფორიეს განტოლების ამოხსნა მდგომარეობს $T(x; t)$

ფუნქციის განსაზღვრაში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს განტოლებასა და აგრეთვე, სწ ყის და სასაზღვრო პირობებსაც.

ამასთან ერთად, სწ ყისი პირობები შეესაბამებიან, თბური ნაკადის სწ ყის მომენტში, მყარ სხეულში ტემპერატურა განაწილებას, ხოლო სასაზღვრო პირობები შეესაბამებიან ტემპერატურების ან ნაკადების ზედღებას მყარი სხეულის ზედაპირზე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.



საწყის მომენტში შემოთავაზებულია, რომ ტემპერატურა ცნობილია ან ტემპერატურა უწყვეტ ფუნქციას წარმოადგენს, მაშინ საჭიროა, რომ ამოცანის ამოხსნა მისწრაფოდეს მოცემულ ამოხსნისაკენ მაშინ, როცა t მისწრაფის ნულისაკენ.

სასაზღვრო პირობები შეესაბამებიან მდგომარეობას:

ცნობილია T ტემპერატურა სასაზღვრო ზედაპირის ყველა /ან ზოგიერთ/ წერტილებში;

ცნობილია თბური ნაკადი სასაზღვრო ზედაპირის ყველა ან ზოგიერთი წერტილიდან.

5.7. კონვექციური თბოგადაცემა

კონვექციური თბოგადაცემის ცნება მოიცავს თბოგადაცემის პროცესს სითხეს, აირსა და მყარ სხეულის შორის, მათი ურთიერთშეხების დროს.

ძირითადი ფორმულა, რომელიც აღწერს სითხესა და მყარი სხეულის ზედაპირს შორის თბოგადაცემას, დადგენილი იყო ნიუტონის მიერ.

$$Q = \alpha (T_w - T_f) F \quad /5.25/$$

სადაც Q - არის მყარი სხეულსა და სითხეს შორის გადაცემული თბური ნაკადი

F - არის მყარი სხეულის ზედაპირის ფართობი

α - არის ზედაპირისა და სითხეს შორის თბოგადაცემის კოეფიციენტი.

იგი განისაზღვრავს თბოგადაცემის ინტენსიობას, მის განზომილებას კკალ/მ² სთ⁰ც. თბოგადაცემის კოეფიციენტის მნიშვნელობა ტოლია ზედაპირის ერთეულზე, დროის ერთეულში გაცემული სითბოს რაოდენობის, ზედაპირსა და სითხეს შორის 1⁰ც-ში ტემპერატურის სხვაობისას.

პრაქტიკული გაანგარიშებისათვის /5.25/ ფორმულა პრინციპულ გამარტივებს არ იძლევა. მოცემული პროცესის მთელი სირთულე მდგომარეობს თბოგადაცემის კოეფიციენტის ერთი სიდიდის განსაზღვრაში.



თბოგადაცემის კოეფიციენტი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მყარი ზედაპირის ფორმასა და ზედაზე, სიიხის სიჩქარეზე, ტემპერატურა-თა სხვაობაზე და ა.შ.

როდესაც არსებობს სიიხის ნაკადი მყარ ზედაპირთან კონტაქტში, ამ ზედაპირზე მოდებული სიიხის შრე იღებს განსაკუთრებულად განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს შრე არსებობს სიიხის სიბლანტივად გამოწვეული ტანგენციული ძაბვის მეოხებით. ეს არის ე.წ. სასაზღვრო შრე. ამ შრის სისქე დამოკიდებულია სიბლანტეზე, სიმკვრივეზე, სიიხის სიჩქარეზე, სისქეზე და წინასახილველი ზედაპირის ფორმაზე და იცვლება მტკად მცირე სიდიდე-დან გამდენიმე მილიმეტრამდე.

დამტკიცებულია, რომ სასაზღვრო შრეში სიიხის მოძრაობას აქვს დამინალური ხასიათი.

სასაზღვრო შრის გარდა აუცილებელია განვიხილოთ გარდამამავლი შრის ცნება. გარდამამავალი შრე არსებობს ყოველთვის, როცა ადგილი აქვს კონვექტიურ თბოგადაცემას, როგორც ბუნებრივს, ასევე იძულებითს. გარდამამავალი შრის სისქის დასადგენად, ამ შრეში /133/, დასაშვებია სიიხის ბადაცემის ჰიპოთეზა გამტარობის მეოხდის მიხედვით.

კონვექციით თბოგადაცემის პრობლემის გადაწყვეტა არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, რადგანაც იგი განისაზღვრება არა მხოლოდ სითბური, არამედ ჰიდროდინამიური მოვლენებითაც. მეელი ამ მოვლენების ერთობლიობა აღიწერება დიფერენციული განტოლებების სისტემით - თბოგადაცემის განტოლებით, თბოგამტარობის განტოლებით, მოძრაობის განტოლებით და უწყვეტობის განტოლებით.

დიფერენციული განტოლებების სისტემის ანალიზური გადაწყვეტა წარმოადგენს რთულ ამოცანას და მიღებულია მხოლოდ ზოგიერთი კერძო შემთხვევებისათვის /125/.

ბოლო ამ წელწადში განვიხილავთ ჰიპოთეზა ამ ამოცანების გადაწყვეტაში ეგმ-ზე რიცხვითი მეოხდით.

5.7.1. სიხის მოძრაობის განზომილებები

განვიხილოთ დეკარტის კოორდინატთა სისტემა და ვთქვათ

V_i ($i=1,2,3$) სიჩქარის ვექტორის მდგენელია x_i წერტილში, არქარება შეიძლება გამოვსატოთ შემდეგი გამოსახულებით

$$\frac{dV_i}{dt} = \frac{\partial V_i}{\partial t} + \frac{\partial V_i}{\partial x_j} \frac{\partial x_j}{\partial t} = \frac{\partial V_i}{\partial t} + V_j \frac{\partial V_i}{\partial x_j} \quad /5.27/$$

განვიხილოთ სიმძიმის ძალის არსებობა წნევის ძალა P_i და ხახუნის ძალა V_i შეიძლება ჩავწეროთ ნიუტონის განტოლება სიხის მოცულობის ერთეულის მოძრაობისათვის

$$\rho \frac{dV_i}{dt} = \rho \left(\frac{\partial V_i}{\partial t} + V_j \frac{\partial V_i}{\partial x_j} \right) = \rho_i + P_i + V_i \quad /5.28/$$

თუ x_3 ემთხვევა სიმძიმის ძალის მიმართულებას, ρ_1, ρ_2 მდგენელები ნულოვანი იქნებიან, ხოლო ρ_3

$$\rho_3 = \rho(\rho_0 - \rho) \quad /5.29/$$

სადაც ρ - არის თავისუფალი ვარდნის არქარება, ρ_0, ρ სიხის სიმკვრივე T, T_0 ტემპერატურის დროს.

